N191 /3313/ 18-21 დეკემბერი 2015 წ
PRESS
ფასი 1 ლარი
ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## გარევაჭრობებზე სურსათის შეძენისას ფრთხილად!

9

ქუჩაში ნაყიდ გოჭს ქალი მოუკლავს

## „შუსუსუ“: შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“ — გართმევთ ლუკმაპურის ფულის შოვნის საშუალებას, გიძვირებთ მანქანებს და სადაც წაგასწრებთ, იქ წაგართმევთ მართვის მოწმობებსო!!!

2

ჰოდა, დუჩეს ემსგავსებით, პატივცემულებო, „ქართულ ოცნებას“ — ყველაფერი, გაჭირვებულ და გაღატაკებულ ხალხს — კანონი!“ აბა, ჰე!..






13

## ვალერი გელბახიანი: „ივანიშვილს უთქვამს, ამათ ან თავი იმართლონ, ან არადა, მიიღებენ შესაბამის პასუხსო და არ არის გამორიცხული ვადაზე ადრე დატოვონ პარლამენტი“



„საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე იმ ლიდერების სახე გაიშიფრება, ვინც დღეს ყინწვისის ანგელოზის სახით გველაპარაკება“

## „მეოცნებეებმა“ კიდევ ერთხელ ჩაისვარეს

4



პენსიონერებს 20 ლარიანი დანამატი ძმრად ამოადინეს და 21 ათასიანი ხელფასი არ გააუქმეს

## ეს ისედაც რეიტინგდაქცეულ „ქართულ ოცნებას“ საბოლოოდ უტირებს დედას და ლირსიც იქნება

11



## რა მზაკვრული გეგმა ჩაიფიქრა პუტინმა სავიზო რეჟიმის გაუქმებით საქართველოს წინააღმდეგ?



7

12

## რისთვის გააკეთა სეპარატისტმა სანაკოევმა განცხადება, რომ „ისლამური სახელმწიფო“ საქართველოში ტერაქტებს მოაწყობს?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ქრთამის აღების ფაქტზე კრწანისის გამგებლის მოადგილე დააკავეს



ქრთამის აღების ფაქტზე კრწანისის გამგებლის მოადგილე ნანა მაისურაძე დააკავეს. როგორც „რუსთავი 2"-ს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ განუცხადა, მოქმედი ხელისუფლების პირობებში კორუფციას „გასაქანი არ მიეცა".

– კორუფციას ჩვენი ხელისუფლების პირობებში, როგორც ხედავთ, გასაქანი არ მიეცა. ნებისმიერი შემთხვევა, როდესაც კორუფციის ფაქტი გამოვლინდა, ძალიან სწრაფად იქნა გამოვლენილი და დამნაშავეები მიეცნენ პასუხისგებაში, მათ შორის ამ შემთხვევათა რიგში შედის ბოლო შემთხვევაც, – აღნიშნა არჩილ თალაკვაძემ.

მისივე თქმით, დანარჩენს კომპეტენტური მოსამართლე გადაწყვეტს და საჭიროა, დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას.

მოადგილის დაკავებაზე კრწანისის გამგებელს გიორგი კოპალეიშვილს კომენტარი არ გაუკეთებია – ის სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. კომენტარი არ გაუკეთებია არც თბილისის მერს. (ინტერპრესნიუსი, პირველი რადიო)

**ხელფასები არ ჰყოფნით, პრემიები არ ჰყოფნით, დანამატები არ ჰყოფნით და ქრთამებიც უნდათ ამ დალოცვილებს.**

**ჰო, გასაქანი არ მიეცაო, თალაკვაძე გვარწმუნებს, მაგრამ ისეთს აქანავებენ, როგორც კი საშუალება მიეცემათ, თქვენი მოწონებული!..**

## „ამჟამინდელმა ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ ხაზს რუსეთისადმი მტრობა არ წარმოადგენს"



საქართველოსთან ვიზების გაუქმების პერსპექტივა წარმოიშვა ქვეყნებს შორის ურთიერთობების წყნარი ტონალობის დამსახურებით, იმ დროსთან შედარებით, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო. „რია ნოვოსტის" ინფორმაციით, ამის შესახებ რუსეთის დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ალექსეი პუშკოვმა განაცხადა.

მისი თქმით, ადრე საქართველოს მოქალაქეთა დიდი რაოდენობა რუსეთში ჩადიოდა საკუთარი ოჯახების მხარდასაჭერად. პუშკოვის თქმით, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა გაწონასწორებული მას შემდეგ გახდა, რაც საქართველოში არჩევნები ჩატარდა და სააკაშვილმა ქვეყანა დატოვა.

– ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, პრინციპში, დაადასტურა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ ხაზს არ წარმოადგენს რუსეთისადმი მტრობა, როგორც ეს იყო წინა ხელისუფლების დროს. მეჩვენება, რომ პროგრესი არის, ურთიერთობები თანდათანობით უმჯობესდება. არ გვსურს, რომ საქართველოში შეიქმნას ანტირუსული ისტერიის რეციდივები. ჩვენ მზად ვართ ურთიერთობების დალაგებისთვის, – განაცხადა პუშკოვმა. (ინტერპრესნიუსი)

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



**რა ბედნიერებაა — შს სამინისტრომ საინფორმაციო კვირეული დაიწყო და ახლა უკვე დეტალურად ჩამოგვირაკრაკებენ, როგორ გვიტირებენ ყოფის დღეს, სავარაუდოდ, მომდევნო წლის 1-ლი მარტიდან.**

უწყების ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის ინიციატივით **(აი, ხომ გითხარით, მღებრიშვილია სწორედ დამნაშავე ამ ყველაფერში – მოსთხოვა ღარიბაშვილმა საცობების პრობლემის მოგვარება, ის კიდევ ადგა და რიგითი მოქალაქეების გასამწარებლად მოგონილი ინიციატივები პარლამენტს მიუგდო – აქციეთ კანონად და მერე პასუხიც თავად აგეთ მოსახლეობასთანო),** შს სამინისტრომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროექტი შეიმუშავა.

პატრულირების დროს გამოწერილი ქვითრით. დამრღვევ მძღოლს ქულები მხოლოდ საპატრულო პოლიციელის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დარღვევისთვის შეუმცირდება. აღსანიშნავია, რომ ქულების დაკლება მოხდება საჯარიმო ქვითრის გამოწერის პარალელურად. მაგალითად, მუხლი 1181 — ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა, აღნიშნული მუხლის დარღვევის შემთხვევაში, მგზავრს 100 ქულიდან გამოაკლდება 10 ქულა და ამასთანავე, დაჯარიმდება 30 ლარით.

რაც შეეხება კონკრეტულ დარღვევაზე ქულების მინიჭების კრიტერიუმებს, სამინისტრომ პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ქულების ოდენობა თითოეულ დარღვევაზე განისაზღვრა ამა თუ იმ დარღვევის რისკიდან და მისი ინტენსივობიდან გამომდინარე.

მართვის მოწმობისთვის მინიჭებუ-

იქნებოდა და სწორედ ამიტომ მოიფიქრეს ასე მზაკვრულად და ნელნელა შემოგვაპარონ, როგორ აპირებენ ჩვენს გამწარებას.

**თქვენ წარმოიდგინეთ, თუმცა რა რთულად წარმოსადგენი ეს არის, შსს არც ტყუილის თქმას ერიდება — თავიდან ითქვა, რომ მარჯვენასაჭიანის რეგისტრაცია უქმდება, მაგრამ ვინც მაინც შემოიყვანს „არასწორ" მანქანას, 30 ლარს გადაიხდის, რაღაც კვერცხობა სტიკერს იყიდის, შემდეგ კი 72 საათში უნდა შეცვალოს საჭეო. გავიდა 2-3 დღე და არაო, „ვაფშე" ყველა მარჯვენასაჭიანი იკრძალება, რა გადატანა, რის გადმოტანა, რა ატამი, რი ატამიო!**

შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ თავიდან ისიც მოგვატყუა, რომ მარცხენასაჭიანი მანქანების შემოყვანის სტიმულირებისთვის განბაჟებას მნიშვნელოვნად გავაიაფებთო, თუმცა გავიდა 2-3 დღე და დაამატეს – 9 და მეტი წლის ავტომობილზე აქ-

**ოებისთვის აკეთებთ ამას! ტყუილია, არ არის ეს ასე, არაფერი გაგიკეთებიათ ჩვენი გულისთვის და ჩვენი უსაფრთხოებისთვის და ნუთუ უკვე ისე გაგიჯდათ ძვალ-რბილში აფერისტობა და თვალთმაქცობა, რომ ველარ ახერხებთ, თავები მოთოკოთ?!**

დღეს შს სამინისტროს არაადამიანურ ინიციატივებზე საუბარს იმით დავასრულებთ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ" კიდევ ერთხელ აჯობა „ქართულ ოცნებას" ჭკუით და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ „ქართულ ოცნებას" ტვინის ნატამალი არ გააჩნია: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატი ლევან თარხნიშვილი საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებს გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, ახალი სატრანსპორტო საშუალების შეძენის წახალისება მოხდება.

**— შინაგან საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე ხნის წინ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამა წარადგინა, რომელიც პარლამენტში**

# „შუსუსუ": შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის" — გართმევთ ლუკმაპურის ფულის შოვნის საშუალებას, გიძვირებთ მანქანებს და სადაც წაგასწრებთ, იქ წაგართმევთ მართვის მოწმობებსო!!!




**არა, არ გადაირევა ადამიანი, როცა ამ მამაძაღლობას „უსაფრთხოების პროგრამას" არქმევენ და აქეთ გვაყვედრიან — შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის ვაკეთებთ ყველაფერსო? სიმბოლოც როგორი საყვარელი მოუფიქრებიათ — გულის ფორმა. ჰოდა, მიდით, დაუწერეთ ღიპიან-ჯიპიანებმა მღებრიშვილის ინიციატივებს თითო გული და აბა, თქვენ იცით, როგორ იზეიმებთ, როცა მოსახლეობის გაღატაკებულ ფენას სიცოცხლეს საბოლოოდ გაუმწარებთ.**

აი, რას ვკითხულობთ „შუსუსუს" მიერ გავრცელებულ განცხადებაში:

**— საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრევენციული მიმართულების გაძლიერების მიზნით შემოდის მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულათა სისტემა. მსგავსი მოდელი მსოფლიოს 21 ქვეყანაში, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმატებით მოქმედებს და აღნიშნული კანონპროექტი სწორედ დასავლეთში აპრობირებული მექანიზმის ძირეულ შესწავლასა და ანალიზს ეფუძნება.**

**გვსურს განვმარტოთ, რომ პროექტის თანახმად, ყოველი კალენდარული წლის 1-ელ იანვარს მართვის მოწმობას 100 ქულა მიენიჭება, რომელიც ძალაში იქნება იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. საგზაო მოძრაობის სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა გამოიწვევს მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულების შემცირებას, ხოლო ქულათა რაოდენობის მთლიანად ამოწურვა — მართვის უფლების გაუქმებას (შეწყვეტას). ასეთ შემთხვევაში, მართვის უფლების ხელახალი მოპოვებისთვის მოქალაქემ შესაბამისი კატეგორიის თეორიული გამოცდა უნდა ჩააბაროს. გამოცდის ჩაბარებას ის მართვის უფლების გაუქმებიდან 2 თვის შემდეგ შეძლებს.**

**აქვე გვსურს, განვმარტოთ, რომ ქულების შემცირება არ მოხდება ვიდეორეგისტრატორისა და უკონტაქტო**

**ლი ქულათა სისტემის ეფექტიანად ამოქმედების მიზნით, მათ შორის, ელექტრონული სისტემის დანერგვის, ქულათა მინიჭების, მათი შემცირებისა და ამოწურვის, აგრეთვე, მართვის უფლების მქონე პირთა წინასწარი ინფორმირებისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს შესაბამისი ადმინისტრირების წესების შემუშავებასა და დამტკიცებას.**

ოხ, აბა, რაღა გვიჭირს, თვით შს სამინისტრო იზრუნებს იმაზე, ე მანდ, არ გამოგვრჩეს, როცა მართვის მოწმობას ქულები მოაკლდება – მოგვაწვდიან დეტალურ ინფორმაციას ისე, რომ არც კი გაწითლდებიან.

ისე, უნებურად მკითხველი მცირე შეცდომაში შეგვიყვანია – ვწერდით, რომ მართვის მოწმობაზე 100 ქულის ამოწურვის, მისი ჩამორთმევისა და 2 თვის გასვლის შემდეგ თეორიულ გამოცდასთან ერთად პრაქტიკულის ჩაბარებაც მოხდებოდა, თუმცა აგერ, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ თეორია ყოფილა ჩასაბარებელი. არა, ეს დიდად არც არაფერს ცვლის, რადგან, ჯერ ერთი, ბიუჯეტი მაინც იხეირებს და მეორე, რისი მიღწევაც „ქართულ ოცნებას" სურს – ადამიანი მაინც გაწვალდება.

**არ დაიწყოთ ახლა, რატომ გაწვალდებაო, თუ „პრავა", თეორიის ჩაბარება აღარ გაუჭირდებაო. 30, 20 და თუნდაც 5 წლის წინათ რომ აქვს ადამიანს თეორია ჩაბარებული, შანსი არ არის, ბევრი რამ დავიწყებული ჰქონდეს და ტყუილად ამაზე სჯობს, არ ვიდავოთ!..**

და მცირე შეცდომაში რომ შეგიყვანეთ, ძვირფასო მკითხველო, სულაც არ მივიჩნევთ, რომ ჩვენ ვართ დამნაშავეები – თავად შს სამინისტროც გადასარევად აცნობიერებს, რამდენად დიდ საშინელებას აკეთებს და ასე წიოწიოდ გვაწვდის ინფორმაციას – ხან ესაო, ხაინ – ისაო. ყველა მამაძაღლობა რომ ერთბაშად გაეხმაურებინათ, პროტესტიც გაცილებით სერიოზული

ციზი ძვირდებაო. ანუ, თუ ვინმეს უხაროდა, ახალი, 2006-წლიანი მანქანა ვიყიდე, ჩემია აწი ქვეყანაო, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა – „შუსუსუმ" 9 წლის მანქანა ძველიაო, მააშ!

**კიდევ შეღავათივით შეიძლება ის იყოს, რომ თურმე, ქულებს „უკონტაქტო პატრული" არ მოგვაკლებს, მაგრამ როგორ არ გადაირევი იმაზე, რომ თავს იწონებენ — რასაც ახლა ჩვენ ვეგემავთ, მსოფლიოს 21 ქვეყანაში, მათ შორის ამერიკაშიც უკვე მოქმედებს და კანონი დასავლეთში კარგად აპრობირებულიაო.**

**იიი, დასავლეთში, ამერიკაში, არა?!**

**ეგ რომელ დასავლეთსა და ამერიკაში, ჩვენსავით ლატაკი ხალხი რომ ცხოვრობს და ჩვენსავით მათხოვრული ხელფასები რომ აქვთ თუ იმ დასავლეთსა და ამერიკაში, სადაც უძლიერესი ეკონომიკაა და არცთუ დაბალი ხელფასები?!**

**დიდი სიამოვნებით შევედრებოდით დასავლეთის ძლიერ ქვეყნებს, დავეწეოდით და გავუსწრებდით ამერიკასაც, მაგრამ ვერ მოაბა თავი „ქართულმა ოცნებამ" ქვეყნის შენებას და ხალხია ამაში დამნაშავე, ხალხმა უნდა ზღოს მთავრობის უმაქნისობა და პარალელურად, რა კანონებიც დასავლეთში კარგად ყოფილა აპრობირებული, გაღატაკებულ ქართველებსაც ანალოგიური კანონები დაუდგინოთ? ბებიათქვენისამ, რა!..**

**ჰო, კიდევ ერთი — რა საზიზღრობასაც და რა არაადამიანობასაც აკეთებთ, ვხვდებით გადასარევად, ბოლომდე რომ მიიყვანთ, სამწუხაროდ, ეგეც ვიცით, რადგან ფეხებზე ჰკიდია „ქართულ ოცნებას" მინისტრებიან-პარლამენტარებიანად ხალხს რა სტკივა და აწუხებს, მაგრამ ნუ დაგვცინით მაინც, თქვე ულმერთოებო, ნუ გვეუბნებით, რომ ჩვენი გულისთვის, ჩვენი უსაფრთხ-**

**უკვე შესულია. ოფიციალურად პროგრამა ეკოლოგიური მდგომარეობისა და გზებზე უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესებას ითვალისწინებს. თუმცა, ამ გაცხადებულ მიზეზსა და რეალობას შორის განსხვავება დიდია. რეალურად ხალხმა მიიღო ახალი, ხელოვნური რეგულაციები, ავტომობილებზე ფასების ზრდა და ისედაც გაჭირვებულ ხალხს, იმის საშუალებაც ეცლება ხელიდან, რომ ფული გამოიმუშაოს.**

რაც შეეხება მართვის მოწმობის ახალ რეგულაციებს, ეს ერთადერთ ასოციაციას იწვევს – საბჭოთა კავშირის დროს არსებული ტალონები, რომელთაც „გაიშნიკები" ხვრეტდნენ და შემდეგ იძულებული ხდებოდი, ხელახლა ჩაგებარებინა გამოცდა, ან მათთვის ქრთამი მიგეცა.

კიდევ ერთ გენიალურ, საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებას წარმოგიდგენთ. მისი მიზანია ახალი სატრანსპორტო საშუალების შეძენის წახალისება და შემოდის ავტომობილებზე დიფერენცირებული გადასახადი იმის მიხედვით, რომელი წლის გამოშვებაა. რეალურად 1-დან 3-წლამდე ავტომობილებზე ფასი უცვლელია, ანუ ახალი ავტომობილების შეძენის მსურველებისთვის არაფერი იცვლება, ამის სანაცვლოდ იცვლება 9-დან 12-მდე ავტომობილების ფასი და 12 წლის ზემოთ ავტომობილების შემოტანის ფასი, 100%-ით იზრდება. არადა, საქართველოში, მოთხოვნა, სწორედ ამ ასაკის მანქანებზეა, – განაცხადა ლევან თარხნიშვილმა.

P.S. მუსოლინის აქვს ნათქვამი ერთი მამაძაღლობა: „მეგობრებს – ყველაფერი, დანარჩენებს – კანონი!"

ჰოდა, დუჩეს ემსგავსებით, პატივცემულებო, „ქართულ ოცნებას" – ყველაფერი, გაჭირვებულ და გაღატაკებულ ხალხს – კანონი!"

აბა, ჰე!..

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



სამწუხაროდ, ზოგჯერ ძალიან მარტივია, ანკესზე წამოაგო ადამიანი და ვის, ვის, კრემლს ასეთი მამაძაღლობები ნამდვილად არ ეშლება – რატომღაც ბევრს დადებითი მოლოდინი გაუჩინა „პუწინის“ ყოველწლიური პრესკონფერენციის დაწყების წინ ჟურნალისტების გამასპინძლებისთვის გაწყობილ სუფრაზე ქართული კერძების გამოჩენამ. კერძებს შორის იმერული და მეგრული ხაჭაპურიც ყოფილა

**— რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს პირველ რიგში ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხის საქმეა. ჩვენ ნებისმიერ გადაწყვეტილებას მივიღებთ, — განაცხადა პუტინმა.**

**მისი თქმით, მოსკოვი საქართველოს მოქმედი ხელისუფლებისგან „სიგნალებს ხედავს“ და ამ სიგნალების მისაღებად მზად არის.**

**პუტინმა, ასევე, აღნიშნა, რომ ქართული ღვინის საექსპორტო მოცულობის 2/3 სწორედ რუსულ ბაზარზე გადის და ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ეს მოცულობა ზრდის მაღალ ტემპებს აჩვენებს.**

**— რაც შეეხება სავიზო რეჟიმს, ჩვენ ვფიქრობთ და მზად ვართ, სავიზო რეჟიმი გავაუქმოთ, — აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.**

აჰა, ახლა გახდა ქართული ღვინოც ვლადიმეროვიჩისთვის მისაღები, ხაჭაპურისა არ იყოს, არა? თვალთმაქცი!

ჰო, ისაო, ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხის საქმეა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობაო – მერე, გვაცდის საბჭოთა კავშირის აღდგენაზე მეოცნებე „პუწინი“, რაიმე გადაწყვეტილება მივიღოთ ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა? არაფერიც! პირიქით, იმდენ ხელშეკრულებას აფორმებენ, იმდენ ვალდებულებას კიდებენ აფხაზებსაც და ოსებსაც, კრემლის კლანჭებს თავს ვერაფრით დააღწევენ.

რიგითი მოქალაქეები შეიძლება მოტყუვდნენ და ბრმად ენდონ, რომ კრემლი ჩვენს მონატრებას ხაჭაპურის ჭამით იქარვებს, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილიც რომ დადებითად აფასებს ვლადიმეროვიჩის სვლას, მსუბუქად რომ ვთქვათ, გვაკვირვებს!

**– გავეცანით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის განცხადებას საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთთან სავიზო რეჟიმის შესაძლო გაუქმების თაობაზე. ვფიქრობთ, რომ ეს სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია.**

**გასათვალისწინებელია რუსეთში მცხოვრები ჩვენი მრავალრიცხოვანი თანამემამულეების, ასევე, ქართველი ბიზნესმენებისა და რიგითი მოქალაქეების ინტერესი სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებით. მათი სურვილია, ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა მინიმალური სირთულეებით ხორციელდებოდეს.**

**მიუხედავად საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პრინციპული ხასიათის უთანხმოებებისა, მათ შორის 2008 წლის ომის გამომწვევ მიზეზებთან და მის შედეგებთან დაკავშირებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენ შევძელით ვაჭრობის, სატრანსპორტო და ჰუმანიტარულ სფეროებში გარკვეული ნაბიჯები გადაგვედგა. მზად ვართ, გავაგრძელოთ არჩეული პრაგმატული კურსი რუსეთთან მიმართებაში და რუსეთის მხრიდანაც ველით ანალოგიურ მიდგომას.**

**უახლოეს დღეებში ველით ევროკავშირის გადაწყვეტილებას საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზალიბერალიზაციის საკითხთან დაკავშირებით, რაც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იქნება. ზოგადად, ჩვენი მთავრობის პრინციპული პოზიციაა, რომ საქართველოს მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ მსოფლიოში თავისუფალი გადაადგილების მაქსიმალური საშუალება.**

**ჩვენი ხელისუფლების გააზრებულ საგარეო პოლიტიკას სერიოზული ხელშესახები შედეგები მოაქვს. სწორედ ასე აღიქვამენ ამას როგორც ჩვენი მოქალაქეები, ასევე დასავლელი პარტნიორები,** – ნათქვამია პრემიერის განცხადებაში.

ღარიბაშვილი ამბობს, ისაო, პრაგმატულ კურსს ვაგრძელებთ რუსეთთან მიმართებაში და ვაჭრობის, სატრანსპორტო და ჰუმანიტარულ ამბებში მათგანაც შესაბამის მიდგომებს ველოთო.

რა უნდა გაგახსენოთ, ძვირფასო მკითხველო, იცით? სულ ერთი თვეც არაა გასული აბაშიძე-კარასინის ბოლო შეხვედრიდან და სანამ ეს შეხვედრა შედგებოდა, ზუსტად წინა დღეს ოკუპანტებმა რამდენიმე გლეხი გაიტაცეს ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ასევე, სულ რამდენიმე დღეა გასული, რაც რუსეთმა ვინ მოთვლის, მერამდენედ დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე.

და ამ ყველაფრის შემდეგ – როცა კრემლს სულ ფეხებზე ჰკიდია ჩვენი ტერიტორიული მთლიანობაც, სუვერენიტეტიცა და პატრიოტიზმიც, ირაკლი ღარიბაშვილი რუსეთისგან, პუტინისგან რაიმე დადებითს ელის? გეუბნებით, მსუბუქად რომ ვთქვათ, გვაკვირვებს პრემიერის ასეთი მიამიტობა!

რაც მთავარია, „ნაცმოძრაობამ“ კიდევ ერთხელ აჯობა ჭკუით „ქართულ ოცნებას“ – პუტინის ეს განცხადებები უარყოფითად შეაფასა და ღარიბაშვილს თითი დაუქნია – არაფრის აზრზე შენ არ ხარ, მტერი რომაა პუტინი, ეგეც კი არ იციო. და რა მიიღეს ამით? რუსეთისგან გამწარებული მოსახლეობის სიმპათია!

**— რუსეთი არის ოკუპანტი ქვეყანა. ვლადიმერ პუტინზე, განსხვავებით ამ მთავრობის მინისტრი ზაქარეიშვილისგან, ძალიან ცუდი წარმოდგენისგან ვარ. ვთვლი, რომ ის არის საქართველოს მტერი და არ მგონია, რომ ეს გადაწყვეტილება მას საქართველოს მოჭარბებული სიყვარულით მოუვიდა. მინდა ვისურვო, რომ ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია ამ პროცესს დაასწრებს, — განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.**

ჰო, როცა ვიზალიბერალიზაციასთან მიმართებაში ევროპელებისგან დადებითი მოლოდინი გვაქვს, პუტინის ამ მამაძაღლურ განცხადებაზე ახუნტრუცება შეიძლებოდა? არა და პრინციპში, კიდევ ძალიან ბევრი რამეც არ შეიძლება, მაგრამ...






## არა, ბატონებო და ქალბატონებო, „ხაჭაპური“ არ მონატრებია ვოვაჩკას — იცოდა, ასეთი „მექდუ პროჩემ“ დეტალებით ბევრზე მოახდენდა გავლენას და მიაღწია კიდეც მიზანს!






და როგორც რუსული მედია წერს, განსაკუთრებული მოთხოვნა სწორედ ხაჭაპურზე ყოფილა.

დედა, დედა, ისე ვენატრებით „მართლმორწმუნე უფროს ძმას“, ხაჭაპურს მიეძალნენ თურმე და ჩვენზე წუხილისგან ყელში გაჩხერილი ქვითინი ხაჭაპურის მეშვეობით ჩაახშვეს.

თუმცა მხოლოდ ხაჭაპურის მეშვეობით არ უცდია „პუწინს“, გავლენა მოეხდინა საქართველოს მოქალაქეებზე – სავიზო რეჟიმსაც გაგიუქმებთო, „წამოსცდა“, მაგრამ ის კი წამითაც არ დასცდენია მთავარ ოკუპანტს, აფხაზეთსა და ცხინვალს დაგიბრუნებთო, ახალგორიდან და კოდორის ხეობიდან საოკუპაციო ძალებს გავიყვანო, ათობით სოფელი რომ მიწასთან გავასწორეთ და მივიტაცეთ, მამააყროლებულ სეპარატისტებთან ერთად, იმათ დაგიბრუნებთო. არა, მეგრულ-იმერული ხაჭაპურით გააწყო სუფრა, სავიზო რეჟიმს გავაუქმებო, თქვა და ააფრიალეს აქეთ ზოგ-ზოგიერთებმა დროშები!

ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტის შეკითხვაზე, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივას ეხებოდა, პუტინმა განაცხადა, რომ ურთიერთობების გამწვავების მიზეზი რუსეთი არ ყოფილა და მზად არის, ეს ურთიერთობა აღადგინოს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### ფულის გამოძალვის მიზნით აფხაზეთიდან მამაკაცი გაიტაცეს



ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან, კერძოდ, სოფელ კვიტოულიდან ადგილობრივი მცხოვრები არჩილ ჯინჯოლავა გაიტაცეს.

როგორც ჯინჯოლავების ახლობლებმა აცხადებენ, გამტაცებლები მამაკაცის გათავისუფლების სანაცვლოდ 80 000 აშშ დოლარს ითხოვენ.

გამტაცებლები ოჯახს გატაცებულის მობილურით დაუკავშირდნენ. თავდაპირველად ისინი 130 000 დოლარს ითხოვდნენ, თუმცა მოგვიანებით თანხის ოდენობა შეამცირეს.

კვიტოულის მცხოვრებლები გატაცებას არჩილ ჯინჯოლავას შვილის ბიზნესსაქმიანობას უკავშირებენ. მათი ინფორმაციით, გატაცებულის ვაჟი მოსკოვში ბიზნესს ფლობს, არჩილ ჯინჯოლავას კი საკმაოდ დიდი თხილნარი აქვს.

ადგილობრივთა განცხადებით, მიმდინარე თვეს გატაცების ეს უკვე მესამე ფაქტია. მოსახლეობა გახშირებულ გატაცებებს გალში კრიმინალური სამყაროს აქტიური წევრების ჩასვლას უკავშირებს.

– გამოსასყიდის სახით გადახდილი ფული კრიმინალურ ავტორიტეტებს ეგზავნებათ, – აცხადებენ ისინი. (ნიუპოსტი)

### პუტინმა უკრაინაში რუსი სამხედროების ყოფნა პირველად აღიარა



რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა, წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე უკრაინაში რუსი სამხედროების ყოფნა პირველად დაადასტურა.

– ჩვენ არასოდეს გვითქვამს, რომ იქ არ არიან ადამიანები, რომლებიც სამხედრო სფეროში გარკვეული საკითხების გადაწყვეტით არიან დაკავებულები. თუმცა, მინდა აღვნიშნო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ რეგულარული რუსული ჯარები იმყოფებიან. დაინახეთ სხვაობა, – განაცხადა პუტინმა.

რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის პერსპექტივებზე საუბრისას კი რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მოსკოვი უკრაინის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას არ აპირებს, თუმცა კიევი შეღავათებით ველარ ისარგებლებს.

– ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ ეს კონფლიქტი რაც შეიძლება სწრაფად მოგვარდეს, თუმცა არა ადამიანების ფიზიკური ლიკვიდირების ხარჯზე უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში, – დასძინა პუტინმა.

ვლადიმერ პუტინმა ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე უკრაინაში საქართველოს ყოფილი მთავრობის წევრების საქმიანობაზეც ისაუბრა. – ეს არის პოლიტიკური მოღვაწეების ექსპორტი. მათ საკუთარი მუშაობის სტილი არ შეუცვლიათ. ეს უკრაინელი ხალხისთვის სახეში შეფურთხებაა, რადგან ამ გუნდმა უკრაინა საგარეო მართვის ქვეშ მოაქცია. როგორც მახსოვს, აშშ-ში სააკაშვილს სამუშაო ვიზა არ მისცეს და უკრაინაში გაგზავნეს, – აღნიშნა მან. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პარლამენტში დეპუტატები ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ



პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომაზე, სადაც „საარჩევნო კოდექსში" შესატან ცვლილებებს იხილავდნენ, დეპუტატები ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. საპარლამენტო უმცირესობის წევრების უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ სხდომაზე კანონპროექტში შესატანი ცვლილებები უმცირესობის წევრებს განხილვის წინ დაურიგდათ.

როგორც მიხეილ მაჭავარიანმა აღნიშნა, პოლიტიკური სპექტრის დიდმა ნაწილმა საარჩევნო ოლქების გადანაწილებასთან დაკავშირებით ცვლილებების შესახებ არაფერი იცის და მის გაცნობას დრო სჭირდება. კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, დეპუტატებს ცვლილებების გასაცნობად გარკვეული დრო მიეცემათ. (kvira.ge)

## „საქართველოს ყველა რაიონში კორუფციაა!"



„ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატის, ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, დღეს კორუფცია საქართველოს ყველა რაიონშია.

„გარეშე მაყურებლისთვის რთული იქნება იმის განჭვრეტა რა პროცესები მიმდინარეობს დღეს აქ. არის თუ არა საქართველოში კორუფცია. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ასახელებენ ამის კონკრეტულ ფაქტებს, თუმცა არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ამას უარყოფს. კომისიის შექმნა სწორედ ამის პასუხი იქნებოდა ყველა ინსინუაციაზე, ერთხელ და სამუდამოდ ზღვარს დაუდებდა იმ საუბრებს, რომ საქართველოში კორუფციაა.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქვეყანაში ასობით ტენდერი ტარდება, რომელთა ღირებულებაც ზოგჯერ მილიარდ ლარს ცდება, თუმცა ისიც კარგად ვიცით, რომ გზები არაა, წყალი არაა, მილიარდები იხარჯება და სამუშაოები შესრულებული არაა. ამბობენ, თითქოს თბილისში ნახევარი მილიონი ხეა დარგული, ასე რომ იყოს, დღეს თბილისი შერვუდის ტყე იქნებოდა თავისი რობინ ჰუდით. „ქართული ოცნება" ამ მიმართულებით კომიკურობის ზღვარს გადაცდა.

კორუფციული ფაქტები არის მთელი საქართველოს მასშტაბით. პოლიტიკურ კორუფციაზე ის მარტივი მაგალითიც მიუთითებს, რომ მხოლოდ „ქართული ოცნების" მხარდამჭერები და ნათესავები არიან დასაქმებულები, მხოლოდ მათ მეგობრებს ენიჭებათ უპირატესობა ტენდერებში და ა.შ." – განაცხადა წიკლაურმა. (ივერიონი)

# „მეოცნებეებმა" კიდევ ერთხელ ჩაისვარეს



## პენსიონერებს 20 ლარიანი დანამატი ძმრად ამოადინეს და 21 ათასიანი ხელფასი არ გააუქმეს



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ასეთი უნიათო პარლამენტი საქართველოს არ ჰყოლია. არჩევნებამდე რომ კარდაკარ დადიოდნენ და ხალხს ათას სიკეთეს ჰპირდებოდნენ – სოციალურ სამართლიანობას, 250 ლარიან პენსიებს, კომუნალური გადასახადების შემცირებას და ა.შ. გუშინ კიდევ ერთხელ ჩაისვარეს. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტმა მარეგულირებელი კომისიების წარმომადგენელთა და ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ხელფასი – 16 640 ლარი, სემეკის თავმჯდომარის ხელფასი – 12 ათასი ლარი, ხოლო წევრების – 11 900 ლარი. ეს უკვე მეტისმეტი ღორობაა, მარეგულირებელ კომისიებში ისეთი ხელფას-პრემიები ფიქსირდება, ამ ფასად თავისუფლად შეგვიძლია, ევროპაში ზეპროფესიონალები ვიქირაოთ.

თხრობა დავიწყოთ იმ ადამიანების გაცნობით, რომლებიც ისეთი პროფესიონალები არიან და იმდენს ვუხდით, რომ გვეშინია, ცოტა თუ დავუკელით, აა. სერგო მესხი – 170 350 ლარი, პრემია 27 550 ლარი. მაია ნადირაძე – 167 858 ლარი, პრემია – 25 ათასი ლარი (ეს ის „ნაციონალი" მაია ნადირაძე გახლავთ, საპარლამენტო ტრიბუნიდან რომ გაჰკიოდა, ახლა ჩვენ ვართ ხელისუფლებაში და როგორც ხოში გვაქვს, ისე მოვიქცევითო. როგორც ხედავთ, ამნაირ „ნაციონალებს" ცვლილებები არ შეხებიათ, ახლაც ისე იქცევიან, როგორც ხოში აქვთ. ვაი, ამ ხელისუფლების პატრონს! პატრონები კი იცით ვინც არიან!).

არის კიდევ ერთი კომისია (ცესკო), სადაც უკვე პროკურატურაა შესული და თანხების გაფლანგვის საქმეს იძიებს. ამის შესახებ „ალიას" 15 დეკემბრის ნომერში ვრცლად ვწერდით და აღარ გავიმეორებთ.

ჩვენში აშკარად უმწვავესად დგას მორალისა და ღორობის პრობლემა. თქვე ჩემის „ლართვრამეტიანებო", დამოუკიდებლობასა და ევროპულ ფასეულობებზე რომ მელაპარაკები, შენ ქვეყანაში 160-ლარიანი პენსიონერები გყავს, ევროპაში კიდევ საშუალო პენსია 2-3 ათასი ევროა. გარდა ამისა, რაღა საფრანგეთსა და გერმანიას ედრები, ესტონეთი, ლატვია და ლიტვაც ხომ ევროპაა, თანაც პოსტსაბჭოთა და ერთ დროს ჩვენი მსგავსი? მაგალითად, ესტონეთში საჯარო მოხელეს დამატებითი ანაზღაურება ერიცხება მუშაობის ხანგრძლივობის მიხედვით – 5-წლიანი სამსახურის შემთხვევაში მთლიანი სახელფასო განაკვეთის 5%, 10-15-წლიანი სამსახურის შემთხვევაში – 10%, 15 წელს ზემოთ სამსახურის შემთხვევაში – 15%. გაიგონეთ? მთლიანი ხელფასის 5-15 პროცენტიო და კანონში ისიც უწერიათ, ნებისმიერ შემთხვევაში, ციდან ჩამოფრენილი ანგელოზიც რომ იყოს, პრემია თუ დანამატი არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის 30 პროცენტსო. ჩვენთან კი, მოსხდებიან თუ არა სკამებზე, ეგრევე იწერენ 100-პროცენტიან პრემიებს. ასეთივე კანონი მოქმედებს ლატვიასა და ლიტვაში, ნაკერავზე რომ გასკდე, 30%-ზე მეტს ვერ აიღებ. თუმცა არსებობს ერთი გამონაკლისი – 6 თვის ხელფასის ოდენობის თანხას აძლევენ იმას, ვისაც ბავშვი შეეძინება. გარდა ამისა, ამ ქვეყნებში არსებობს შესრულებული სამუშაოს წლიური შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია, დაჩქარდეს საჯარო მოხელის დაწინაურება, ან სამსახურიდან დათხოვნა. აი, ქულებს რომ გვიწესებთ ავტომობილის მართვის მოწმობაზე, იქ იგივე სისტემა მოქმედებს საჯარო მოხელეების მიმართ. აი ასეთი სისტემაა შემოსაღები ჩვენთანაც და ყველა ნახავს, რომ მაგათ ყველა ხელისუფლების დროს მაღალი ხელფასები ჰქონდათ, „მოქკავშირის" დროსაც კი, 2000 წლიდან არსებობს ეს სტრუქტურები. მაშინაც ეგენი იყვნენ და ახლაც ეგენი არიან, მე განსხვავებას ვერ ვხედავ.

**— როგორ დაინახავთ განსხვავებას, როცა მაია ნადირაძეს 2014 წელს 168 ათასამდე ლარი აქვს წაღებული სახლში?**

– მაია ნადირაძე იყო, ამ წლიდან აღარ არის. მე არ ვიცი, ესენი რა სამუშაოს ასრულებენ, მაგრამ ვიმეორებ, პარლამენტი და მთავრობა მათ საქმიანობაში ვერ ერევა. ასოცირების ხელშეკრულებაში წერია მარეგულირებლების „საპარტნიორო ფონდის" ხელმძღვანელის ხელფასებზე ზედა ზღვარის დაწესების ინიციატივას მხარი არ დაუჭირა. უმცირესობის დეპუტატის, აკაკი ბობოხიძის საკანონმდებლო ინიციატივის განხილვას მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათი თქმით, კანონპროექტი ზღუდავს მათ დამოუკიდებლობას (რას ამბობთ, სულ თქვენს ჭკუაზე დადიხართ, აი). ასევე, უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა კომიტეტის თავმჯდომარემ, ზურაბ ტყემალაძემაც. მისი შეფასებით, ხელფასების შემცირება მაღალი კვალიფიკაციის კადრების კერძო სექტორში გადინებას გამოიწვევს (აი, ისევ ცნობილი იდიოტიზმი!).

აკაკი ბობოხიძის ინიციატივის თანახმად, სემეკისა და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეების ხელფასები არ უნდა აღემატებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთს (7 ათასი ლარი), ხოლო კომისიის წევრთა ხელფასი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ყოველთვიურ შრომით ანაზღაურებას (6 ათასი ლარი). იგივე ეხება „საპარტნიორო ფონდის" ხელმძღვანელსაც. ოფიციალური ინფორმაციით, „საპარტნიორო ფონდის" ხელმძღვანელის, დავით საგანელიძის ხელფასი ამჟამად 21 ათასი ლარია, კომუნიკაციის ეგრევე კერძო სექტორში გაქანდებიან და დავიღუპებით. რაც მთავარია, ამ ადამიანებს არ უნდა შევუზღუდოთ დამოუკიდებლობა.

**მაშ ასე, აი ვინ იღებს ასტრონომიულ ხელფასებს (ნიმუშად აღებული გვაქვს 2014 წლის მონაცემები, 2015 წელი ჯერ არ ჩამთავრებულა):**

ვახტანგ აბაშიძე – კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე. ბატონი ვახტანგი ამ თანამდებობაზე დაინიშნა 2014 წლის მაისიდან. მას 8 თვეში აღებული აქვს 183 884 ლარი, აქედან 51 590 ლარი გახლავთ პრემია (ანუ თვეში 22 985.5 ლარი). ამ წელს კომისიის წევრებს შორის ყველაზე მაღალი ანაზღაურება მიიღო აკაკი სიხარულიძემ – 297 ათასი ლარი, აქედან 103 307 ლარი გახლავთ პრემია. სოფიო ბრიტანჩუკი – ამავე კომისიის წევრი, აღებული აქვს 295 ათასი ლარი, აქედან 105 ათასი ლარი პრემიაა. ირაკლი მოსეშვილი – კომისიის წევრი, მიიღო 283 774 ლარი, აქედან პრემიაა 105 ათასი ლარი. კახა ბექაური – კომისიის წევრი, 11 თვეში აიღო 252 843 ლარი, აქედან პრემიაა 73 ათასი ლარი. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის თანამშრომლებზე 2014 წელს გაცემულია პრემიები 1 მილიონ 828 ათასი ლარის ოდენობით.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია (სემეკი): გოჩა შონია – 176 300 ლარი, აქედან 33 500 ლარი პრემია. 95 პროცენტის ბუნდღა აღარ დარჩება ადგილებზე.

**ახლა ამოცანა გვეკითხება, ამ მარეგულირებლებს, ტარიფების მომმატებლებს და საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელს რომ 5-10 ათასი ლარი ჩამოვაკლოთ, როგორ ფიქრობთ, ისინი სადმე, თუნდაც კერძო სექტორში გაიქცევიან? თუ საკითხი ასე დგას, მაშინ რატომ არ გარბიან მინისტრები, ან მათი მოადგილეები და სხვა საჯარო მოსამსახურეები, რომელთა ხელფასები 3-5 ათასი ლარია? მოდით, ეს შეკითხვა პირდაპირ ბატონ ზურაბ ტყემალაძეს დავუსვათ:**

**— ბატონო ზურაბ, თქვენ ამბობთ, საჯარო სამსახურებში მაღალი ხელფასები უნდა იყოს, რომ კერძო სექტორში არ გაიქცნენო. მართლა გჯერათ, ამათ რომ მოვაკლოთ, სადმე წავლენ?**

– არა, არსად არ გაიქცევიან, მაგრამ ჩვენ მარეგულირებლების ფინანსებში თუ ხელფასებში ვერ ჩავერევით. ისინი არიან დამოუკიდებლები და არ ფინანსდებიან ბიუჯეტიდან.

**— გასაგებია, იმ სტრუქტურების მოსაკრებლებიდან ფინანსდებიან, ვის მოთხოვნილებებსაც არეგულირებენ, მაგრამ თქვენ არ გეჩვენებათ, რომ ეს უკვე მეტისმეტია და ამ გაღატაკებულ ქვეყანაში ზღვარი უნდა არსებობდეს?**

– რა თქმა უნდა, მეჩვენება, მაგრამ მარეგულირებელი დამოუკიდებელია და ვერ ვეხებით. თვითონ კი უნდა ჰქონდეთ ნამუსი და მიიღონ გადაწყვეტილება. დამოუკიდებლობის შესახებ და არ გამოდის, რაღაცა.

თუ მარეგულირებლების ასეთი მაღალი ხელფასები მართლაც გაწუხებთ და ვერაფერს უხერხებთ, ასოცირების ხელშეკრულება გვიშლის ხელსო, ასოცირებაში ისიც წერია, ხალხი შიმშილით გაწყვიტეთო? გამწარებულ გულზე ერთხელ მაინც გამოდით და თქვით სახალხოდ, სააკაშვილმა თავის დროზე მიქარა, ამხელა ხელფასები რომ დანიშნა და რამე უნდა მოვიფიქროთ, ეს საკითხი რომ მოვაგვაროთო. ვინმე გიშლით? მაგრამ არ ხართ თქვენ ამის გამკეთებლები. იქნებ თქვენც გაწყობთ მარეგულირებლების მაღალი ხელფასები? რატომ? იმიტომ, რომ როგორც ამბობენ, დეპუტატებს და გავლენიან „მეოცნებეებს" მაგ კომისიებში ოჯახის წევრები და ნათესავები ჰყავთ დასაქმებულიო.

ხელისუფლებამ პენსიონერებს 20 ლარიანი დანამატი ლამის ძმრად ამოადინა, იმდენჯერ დაამადლეს; სახელმწიფო სტრუქტურებში ადმინისტრაციული ხარჯების ათობით მილიონით გაიზრდას კი ტაშფანდურით დაუჭირეს მხარი – რა თქმა უნდა პრემიების, დანამატების, ახალი ჯიპების და ფუფუნების სხვა საშუალებებისთვის... იმიტომ, რომ ოპოზიციის თქმით, სახელმწიფო სტრუქტურებიც დეპუტატების და „მეოცნებეების" კადრებით არის გადავსებული.

არც ერთი ხმა ცრუ და ადამიანთმოძულე „ქართულ ოცნებას"! არ უსმენდით ხალხს და სწორედ ამას მიიღებთ არჩევნებზე.

## სასამართლომ ე.წ. კანონიერი ქურდი ლევან მარღია გაათავისუფლა



თბილისის საქალაქო სასამართლომ კანონიერი ქურდობის ბრალდებით დაკავებული ლევან მარღია გაათავისუფლა.

როგორც „ნიუპოსტს" აცნობეს, კრიმინალური ავტორიტეტი ოჯახს დაუკავშირდა და აცნობა, რომ „ძალოვნების დახმარებით საზღვრის დატოვებას დღეს გეგმავს".

მარღიას განთავისუფლების საკითხზე სასჯელაღსრულებ-ის სამინისტრო პერსონალური მონაცემების დაცვის მიზეზით კანონიერი ქურდის ადგილსამყოფლისა და შესაძლო განთავისუფლების შესახებ ინფორმაციას არ გასცემს.

მარღიას განთავისუფლება თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურმა ოფიციალურად დაადასტურა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ დამატებითი დეტალები 18 დეკემბრისთვის გახდება ცნობილი.

37 წლის ლევან მარღია დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მიმდინარე წლის 24 მარტს დააკავეს.

როგორც მარღიას დაკავების ამსახველი ვიდეომასალიდან ირკვევა ის აღიარებს ქურდულ სამყაროს და მისი წესების დაცვით ცხოვრობს. (ნიუპოსტი)

## გემის კაპიტანი, რომელზეც 2,4 ტონა კოკაინი აღმოჩნდა, ქართველია




ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ინფორმაციით, საფრანგეთში მოლდოვას დროშის ქვეშ მცურავი გემის ქართველი კაპიტანი ბათუმელია. ეკიპაჟის წევრები უკრაინისა და თურქეთის მოქალაქეები არიან. მამუკა ახალაძის განცხადებით, მომხდარი, უკვე შეატყობინეს საფრანგეთში საქართველოს საელჩოს.

– საფრანგეთის საზღვარზე მოლდოვის დროშის ქვეშ მცურავი გემის ქართველი კაპიტანი ბადრი ბერიძე ბათუმელია. დაკავებისას გემზე 2,4 ტონა კოკაინი აღმოაჩინეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია ჩვენს სააგენტოს დაკავებულის შვილმა, გიორგი ბერიძემ შეატყობინა. საქმის კურსში ჩავაყენეთ საგარეო საქმეთა სამინისტრო და საფრანგეთში საქართველოს საელჩო, რომელმაც უკვე მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს. სამწუხაროა, რომ დაკავებული საქართველოს მოქალაქეა. ჩვენ მუდმივ კავშირზე ვიმყოფებით საფრანგეთში საქართველოს საელჩოსთან, დაკავებულის ოჯახის წევრებთან და ვაკონტროლებთ სიტუაციას, – აცხადებს მამუკა ახალაძე.

საფრანგეთის პოლიციამ მოლდოვის დროშის ქვეშ მცურავი სატვირთო გემი „Carib Palm", რომელიც კოლუმბიის პორტიდან პოლონეთისკენ მიცურავდა, საპორტო ქალაქ ბულონ-სიუ-მერში დააკავა. გემიდან სამართალდამცველებმა 2,4 ტონა კოკაინი ამოიღეს. (pia.ge)

## გურჯაანში სამების სახელობის ტაძარი გაქურდეს



როგორც ეკლესიის მოძღვარი, მამა ვაჟა სონღულაშვილი აცხადებს, დამნაშავეებმა კარი გატეხეს და შესაწირი ყუთი წაიღეს. მეორე ყუთიდან კი თანხაა ამოღებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს.

შეგახსენებთ, რომ მსგავსი ფაქტი რამდენიმე დღის წინ ლაგოდეხშიც მოხდა, სადაც ერთდროულად ორი ეკლესია გაქურდეს. (pia.ge)

## ქართული მაფიის ლიდერის ნაქურდალი და ნაძარცვი 10 მილიონი ევრო, რომელიც შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს



ბერძენი სამართალდამცველების თქმით, ეს ის თანხაა, რომელიც ათენის გარეუბანში მდებარე ერთ-ერთ უმდიდრეს ვილაში მცხოვრებ ქართული მაფიის ლიდერის აქტიური საქმიანობით არის მოპოვებული.

ქართული მაფიის წევრი, რომლის ვინაობას ჯერჯერობით ბერძნული მედია არ ასახელებს, ეტლით გადაადგილდება, მაგრამ ის ძალიან გავლენიანი პირია და რუსეთსა და გერმანიაში სხვადასხვა დაჯგუფებებს აკონტროლებს. იგი ხშირად გამოდის კრიმინალებს შორის მედიატორად.

ბერძენი სამართალდამცველები, რომლებმაც ამ კრიმინალური ავტორიტეტის ბანდის წევრები ორი დღის წინ სპეცოპერაციის დროს დააკავეს, აცხადებენ, რომ დაჯგუფებაში დაახლოებით 25 ადამიანია გაწევრიანებული და მათი უდიდესი ნაწილი ქართველები არიან. ამ ბანდის მიერ დაზარალებულ მოქალაქეებს შორის ერთი-ორი ცნობილი ბერძენი პოლიტიკოსიც ფიგურირებს.

ბერძნული მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სპეცოპერაციის დროს სამართალდამცველებმა დიდი რაოდენობით ფული და ძვირფასეულობაც ამოიღეს.

მიუხედავად იმისა, რომ დაჯგუფების შესახებ პოლიცია უკვე კარგად არის ინფორმირებული, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი საქმიანობის დაწვრილებით შესწავლა. თუმცა, უკვე აცხადებენ, რომ დაჯგუფებამ დღეისთვის 142 ძარცვისა და ქურდობის ფაქტი განახორციელა. (gurianews.com)



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა დაგიჯდებათ წელს საახალწლო სუფრა



ახლოვდება დღესასწაულები, რომლებისთვისაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თადარიგს ნაადრევად იჭერს და ოჯახს საჭირო, აუცილებელი თუ „ფუფუნების" საგნად ქცეული სურსათითა და პროდუქტით ამარაგებს. სულ ცოტა ხნის წინ მავანმა მაღალი ტრიბუნებიდან გვირჩია, ბაზარში გასვლისა და საოჯახო მენიუს ორგანიზება უფრო „ჭკვიანურად" მოგვეხერხებინა. ისიც გვითხრეს, რომ კარგმა დიასახლისმა უკეთ უნდა იცოდეს, როდის და სად იყიდოს საჭირო პროდუქტი ნაკლები დანახარჯით. ამიტომ, რჩევას აყოლილებმა საშობაო სურსათის ფასების გაგება ახალ წლამდე ორი კვირით ადრე, „ცხელი სავაჭრო" დღეების დადგომამდე გადავწყვიტეთ.



თბილისის ყველაზე დიდი, „დეზერტირების" ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ჩვეულებრივ დღეებშიც საკმაოდ ხალხმრავალია, ჯერჯერობით საშობაო საყიდლებისთვის გამოსული კლიენტების ნაკლებობას განიცდის. ბაზარში ბევრი მოვაჭრე, დიდი რაოდენობის საახალწლო სუფრის პროდუქტი და ცოტა მყიდველია. „ხალხს ფული არ აქვს", „მსხვილმა სუპერმარკეტებმა ბაზარი ჩაანაცვლა", „ადამიანი აქ წესიერად მანქანას ვერ გააჩერებს", „ყველას სუფთად ჩაცმულ-დავარცხნილების მომსახურების მიღება ურჩევნია", „ამ დროს უკვე კარგი ვაჭრობა უნდა გვქონოდა"...

მოკლედ, რა მიზეზს არ გაიგებ, რა პრობლემას არ გადაეყრები იქ, სადაც ყველაზე უკეთ იგრძნობა ხალხის ნამდვილი პულსაცია. როგორც ჩანს, წელს მთავრობამ არა, მაგრამ მოსახლეობამ ისე შემოიჭირა ქამრები, რომ „დეზერტირების" მოვაჭრეებს პროდუქტის რეალიზებაზე ფიქრი და ნერვიულობა ახალი წლის წინა დღეებშიც მოუწევთ.

საშობაო სუფრა შემწვარი გოჭის, ინდაურის საცივის, ყველის ასორტის, ჩირის, ჩურჩხელისა თუ გოზინაყის გარეშე წარმოუდგენელია, ბაზარში ყველა საჭირო ინგრედიენტი უკვე საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი. ფასები მაღალია თუ დაბალი მკითხველი ალბათ, თავად გადაწყვეტს. იმასაც უკეთ განსაზღვრავს შემოსავლის რა ნაწილი დაეხარჯება საახალწლო სუფრის ორგანიზებისთვის. საშუალო ზომის ინდაურის ფასი წელს 60 ლარია, ერთი კილოგრამი საქონლის ხორცის შეძენა 11 ლარადაა შესაძლებელი, ღორის სამწვადე კი 12 ლარი ღირს, 7-8-კილოგრამიანი გოჭი 120-130 ლარი დაგიჯდებათ, ერთი კილო იმერული ყველი – 9, სულგუნი – 13, შებოლილი სულგუნი კი 15 ლარი ღირს. ნიგვზის ფასი 15 ლარიდან იწყება და 25 ლარამდე ადის, ქამა სოკოს ფასი ჯერჯერობით 7-დან 10 ლარამდე მერყეობს, თუმცა ფასის მომატებას ვარაუდობენ, მოვაჭრეები ამბობენ, რომ შედარებით გაძვირდება ცოცხალი თევზიც, რომელიც ჯერჯერობით 10 ლარი ღირს, თაფლს 15 ლარად შეიძენთ. ჩურჩხელა – 1,50-დან 3 ლარამდე, ერთი ასხმა კარალიოკის ჩირი კი 5 ლარი ღირს.

მოვაჭრეების თქმით, ყველა ზემოჩამოთვლილ პროდუქტს, ახალი წლის წინა დღეებში ფასი მცირედით მოემატება, თუმცა, როგორც ისინი აღნიშნავენ, ღირებულების რაოდენობა მაინც შემოსული საქონლის რაოდენობასა და მყიდველის მსყიდველობითუნარიანობაზე იქნება დამოკიდებული. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვარკეთილელებს, ვაზისუბნელებს, თემქელებს, გლდანელებს საახალწლო განათება ეკუთვნით, მაგრამ არ ეკუთვნითო...



თბილისის გარკვეულ უბნებში საახალწლო განათებები წელს არ დამონტაჟდება.

მერიის ინფორმაციით, ილუმინაციებით არ მოირთვება როგორც დედაქალაქის გარეუბნების უმეტესი ნაწილი, ისე ზოგიერთი ცენტრალური ქუჩა.

უფრო კონკრეტულად, ოფიციალური ინფორმაციით, ილუმინაციებს, რომელიც საახალწლოდ გასულ წლებში გამოიყენებოდა, წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ის მხოლოდ ვაჟა-ფშაველასა და ყაზბეგის გამზირზე, პეკინის ქუჩაზე, ფილარმონიისა და ტელევიზიის მიმდებარედ კოსტავას გამზირზე, ვახუშტის ხიდზე, გლდანულის შესასვლელში, მუხიანში დუმბაძის ქუჩაზე, ნაძალადევში – გადასასვლელი ხიდიდან კინო „საქართველომდე", ბუშის ქუჩაზე, ქეთევან წამებულის გამზირზე და შარტავას ქუჩაზე დამონტაჟდა. ასევე, ილუმინაციები – „ანგელოზები" დაიდგა მარჯანიშვილის მოედანზე. შესაბამისად, საახალწლო განათება არ დამონტაჟდება გლდანში, ვარკეთილში, თემქაზე, ვაზისუბანში, ისანში, ავლაბრის ნაწილში, დიდუბეში – წერეთლის გამზირზე, ასევე, დიღმის მასივში, დიდ დიღომში და ა.შ.

რაც შეეხება წელს შეძენილ ილუმინაციებს, ახალი განათებებით მოირთო თბილისის ცენტრალური ნაწილი: რუსთაველის გამზირი, ჭავჭავაძის გამზირი, მელიქიშვილის გამზირი, კოსტავასა და თამარაშვილის ქუჩები და ავლაბრის აღმართი.

დედაქალაქის საახალწლო განათებასა და ცენტრალური ნაძვის ხის მორთვაში წელს მილიონ ლარამდე თანხა დაიხარჯება. (bpn.ge)

**ისემც მერიას რა ვუთხარით, რომ ავლაბრის აღმართი განათებულია — რამდენიმე ცალი განათებაა მითხლეშილი და „ვსიო".**

**ისე, გარეუბნები არც გასულ წლებში ყოფილა დიდად გაბრდღვიალებული და არ ინერვიულოთ, პერიფერიელებო — მთავარია, ოჯახებში გქონდეთ სიმშვიდე და დადებითი განწყობა და როგორმე ავიტანთ კიდევ ერთხელ რომ დაგვიკიდეს ფეხებზე!!!**

## ქართველმა გოგონამ ტუჩების სახლის პირობებში დაბერვით თავი დაიმახინჯა



ლეღვის ნახარშით რუჯის მიღების შემდეგ თბილისში ახალმა ტრენდმა იჩინა თავი – ქართველმა გოგონამ ტუჩების დაბერვა სახლის პირობებში სცადა.

ამისთვის კი ტუჩზე ე ვიტამინის ინიექციები თავად გაიკეთა, რამაც ის კატასტროფამდე მიიყვანა.

გოგონა კლინიკაში მოხვდა, თუმცა ექიმები ოპერაციისგან თავს იკავებენ. (marao.ge)

# საქართველო „აბრეშუმის გზის" ისტორიულ ფუნქციას იბრუნებს

**საქართველო „აბრეშუმის გზის" ისტორიულ ფუნქციას იბრუნებს და ქვეყანაში სატრანზიტო პოტენციალი მნიშვნელოვნად იზრდება. ჩინეთიდან გამოსული პირველი მატარებელი თბილისში 13 ნოემბერს შემოვიდა. 21 კონტეინერში ელექტროტექნიკით დატვირთული პირველი სატრანზიტო მატარებელი 29 ნოემბერს ჩინეთის პორტ ლიანუნგიანის ტერმინალიდან გამოვიდა. ეს არის პირველი ტრანზიტული ტვირთი, რომელიც ჩინეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილიდან ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით სტამბულში 14-15 დღეში ჩავა.**



„აბრეშუმის რკინიგზის" ცერემონიალს მთავრობის წარმომადგენლები, რკინიგზის ხელმძღვანელები და დიპლომატები ესწრებოდნენ.

**როგორც საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე აცხადებს:**

– „აბრეშუმის გზის" დერეფანში ბლოკმატარებლით პირველი ტრანსკასპიური გადაზიდვა განხორციელდა. ეს არის ბრენდირებული ბლოკმატარებელი, სახელწოდებით „ნომად ექსპრესი". მისი საწყისი წერტილია სამხრეთ კორეა, შემდეგ ჩინეთის, ყაზახეთის, კასპიის ზღვის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით საბოლოო დანიშნულების წერტილში - თურქეთში, ქალაქ სტამბულში ჩავა. ეს მართლაც ისტორიული მოვლენაა. 2 წელია, ჩვენს კოლეგებთან ერთად ამ საკითხზე ვმუშაობდით. მისი განხორციელება დაკავშირებული იყო უამრავი ტექნოლოგიური თუ ლოგისტიკური პროექტის დასრულებასთან და ეს ყველაფერი წარმატებით დავასრულეთ. 2016 წლიდან კი „აბრეშუმის რკინიგზის" პროექტის ფარგლებში რამდენიმე ათასი კონტეინერის გადაზიდვა იგეგმება.



**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „აბრეშუმის რკინიგზის" ოფიციალურ გახსნაზე განაცხადა:**

– „აბრეშუმის გზის" პროექტის საშუალებით საქართველო გახდება მულტირეგიონალური ცენტრი. „აბრეშუმის გზა" - ეს არის იაფი და ყველაზე მოკლე გზა აზიასა და ევროპას შორის. ჩვენი ქვეყანა ამ უმოკლესი მარშრუტის ნაწილია და ეს მარშრუტი გვაძლევს დამატებით შანსს, გავხდეთ მსოფლიო ეკონომიკური მოვლენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე. „აბრეშუმის გზა" - ეს არის ერთ სარტყელში განლაგებული პარტნიორი ქვეყნების დამატებითი ბიძგი პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისთვის. მჯერა, რომ ეს პროექტი ჩვენს ქვეყანაში მოიტანს მეტ ინვესტიციას, მეტ დასაქმებას და კეთილდღეობას. „აბრეშუმის გზის" ამოქმედებით ჩვენი ქვეყანა იბრუნებს იმ ისტორიულ მისიას, რომელიც მას საუკუნეების განმავლობაში ეკისრა. ჩვენ ამ საკითხზე 2 წლის წინათ დავიწყეთ მუშაობა. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ინიციატივით გამოვედი, რომ საქართველო ჩართულიყო ამ პროექტში და სწორედ ამ მიზნით ჩავატარეთ აბრეშუმის გზის ფორუმი, რომელზეც 32 ქვეყნის 1000-მდე სტუმარი ჩამოვიდა, ჩინეთთან განსაკუთრებით დავაახლოეთ და გავაღრმავეთ ურთიერთობები ბოლო 2 წლის განმავლობაში. ვიყავი ჩინეთში ვიზიტით, სადაც საბოლოოდ გადაწყდა, რომ საქართველოსა და ჩინეთს შორის დაიწყებოდა მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რამდენიმე დღის წინ კი ეკონომიკის მინისტრმა, ბატონმა ქუმსიშვილმა ჩინეთში ხელი მოაწერა აღნიშნული მოლაპარაკებების დაწყების შესახებ მემორანდუმს.

საქართველოში ჩინეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის, **ძიაუ ჰუი სინის** განცხადებით, „აბრეშუმის გზის" ეკონომიკური სარტყელი, ირგვლივ მდებარე ქვეყნებს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას აძლევს, რაც ამ ქვეყნებში მშვიდობასაც განაპირობებს. მან მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას თავდაუზოგავი შრომისთვის და აღნიშნა, რომ ეს პერიოდი ჩინეთისა და საქართველოს ურთიერთობების განვითარების ისტორიაში ყველაზე საუკეთესოა.

საგარეო საქმეთა მინისტრ **გიორგი კვირიკაშვილის** შეფასებით, ჩინეთიდან თურქეთამდე საქართველოს გავლით სატრანზიტო ტვირთების ჩატანა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს მნიშვნელობას.

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ჩინეთიდან პირველი სატრანზიტო მატარებლის შემოსვლის ფაქტი შეაფასა და განაცხადა:**

– ეს ტვირთი კორეიდან წამოვიდა, გაიარა მთლიანად ჩინეთი, შემდეგ ყაზახეთი, აზერბაიჯანი, თბილისი და ჩავა თურქეთში. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ამ ტვირთის მფლობელები არიან ძალიან მსხვილი კომპანიები, ისეთები, როგორიც არის „ვესტელი", ასევე, „სამსუნგი" და რეალურად, ეს არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ჩვენს კორიდორს აქვს უდიდესი პოტენციალი. ჩვენ დავიწყეთ ამ პოტენციალის გამოყენება, რაც თავის თავში გულისხმობს, რომ დამატებით შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, ჩვენს ქვეყანაში იქნება კიდევ უფრო მეტი განვითარება და წინსვლა.

**„აბრეშუმის რკინიგზის" პროექტს აშშ-ს ელჩი იან კელი აფასებს და აცხადებს:**

– პროექტი ითვალისწინებს კავშირის უზრუნველყოფას ევროპასა და ჩინეთს შორის, ხოლო საქართველოს ამ კავშირის უზრუნველყოფაში ძალიან მნიშვნელოვანი როლი უკავია. თანამედროვე ეკონომიკა თავისი ბუნებით გლობალური ხასიათისაა. ისეთი გადამზიდავი კომპანიები, როგორიც არის „დიეიჩელი", „ფედექსი" ეძებენ და დაინტერესებული არიან ახალი, სწრაფი სამარშრუტო გზების არსებობაში - ჩინეთსა და დასავლეთს, დასავლეთსა და ჩინეთს შორის. ეს საქართველოს განვითარებისთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან საქართველო სატრანზიტო ჰაბის როლს შეასრულებს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ვინ არის ბიჭი ფოტოზე, რომელიც ნორვეგიელ ტურისტად „მონათლეს"



სოციალურ ქსელში ვრცელდება ფოტო, წარწერით: „ნორვეგიელი ტურისტი, რომელმაც გერგეტის სამების ბილიკზე ორი ტომარა ნაგავი შეაგროვა და ბუნკერამდე ჩამოიტანა".

ფოტოს სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და კომენტარების ველში წერენ, რომ ჩვენი ადგილი ევროპაში არ არის.

„ჩვენ ევროპაში რა გვინდა..." „სხვა ზრუნავს ჩვენს გარემოზე", „ვაი, სირცხვილო"... თუმცა „ფეისბუკის" ერთ-ერთი მომხმარებელი აღნიშნავს, რომ ფოტოზე აღბეჭდილი ბიჭი ქართველია და არა ნორვეგიელი.

ფოტოზე მართლაც ქართველი ოთო კობახიძეა და არა ნორვეგიელი ტურისტი.

გთავაზობთ ფოტოს რეალურ ამბავს თავად ოთო კობახიძის „ფეისბუკ"-გვერდიდან:

– ზაფხულში ნორვეგიელმა მეგობარმა მითხრა, გერგეტიდან ჩამოსვლისას ორი ცელოფნით ჩამოვიტანე დაყრილი ბოთლებიო. და თუ ოსლოელმა შეიძლება იზრუნოს ყაზბეგზე, რანაირად შეიძლება ჩვენ, ქართველები, გულგრილად ვუყურებდეთ ჩვენივე საარსებო გარემოს განადგურებას?

ერთი ტომარა გერგეტელ ბერს გამოვართვით და მეორე, საბედნიეროდ, გზაში ვიპოვეთ. ის ერთი ტომარა დაახლოებით 50 მეტრის გამოვლისას გავავსე. მეორეს ქეთი აგროვებდა გზადაგზა. არადა, გერგეტამდე ბილიკი კილომეტრამდეა, მგონი, და იქაურობა სულ ნაგვითაა სავსე.

ძვირფასო თანამოქალაქეებო, ბოთლს აგდებთ, ჯანდაბას, წყლით სავსეს მაინც ნუ აგდებთ, მერე ის წყალი ბოთლში იყინება და ჩამოსატანად ტომარას ამძიმებს.

P.S. გერგეტის სამების ფონზე სელფის გადაღების შემდეგ, დაღრუტუნება არ დაგავიწყდეთ და რაც მე შემოგითვალეთ ბოთლების, მაწვნის, პლასტმასების და ა.შ. გადამგდებებს, ერთი არ აგცდენოდეთ.

P.P.S. როცა ახვალთ ყაზბეგში, თითო ცელოფანი გაიყოლეთ და რამდენიმე დაგდებული ბოთლი გამოაყოლეთ ხელს. თუნდაც იმის გამო, რომ სხვა დედამიწელებს მაინც განუვითარებელი ველურების საზოგადოება არ ვეგონოთ, – წერს ოთო კობახიძე. (ambebi.ge)

## „მიუხედავად სააკაშვილისადმი ჩემი დამოკიდებულებისა, პუტინის გადასაწყვეტი არაა უკრაინის ამბები"



უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი არსენ ავაკოვი, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, უკრაინაში ქართველების თანამდებობებზე დანიშვნის შეფასებისგან თავშეკავებისკენ მოუწოდებს.

ვლადიმერ პუტინის ტრადიციულ, მეთერთმეტე პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებებს უკრაინის ძალოვანი მინისტრი სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.

– პუტინი გვმოძღვრავს და შეფასებებს აკეთებს. მიუხედავად ჩემი კრიტიკული დამოკიდებულებისა სააკაშვილის მისამართით, პუტინის გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის უკრაინის მაგივრად და ვერც რჩევებს მოგვცემს. როგორმე გავძლებთ მისი რჩევების გარეშე, – წერს არსენ ავაკოვი. (pia.ge)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



რუსეთის პრეზიდენტმა წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მზად ვართ, საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გავაუქმოთო. სიტუაცია არის ასეთი: რაც უფრო დააჩქარებს ევროკავშირი, საქართველოს მიანიჭოს ვიზალიბერალიზაცია, ქართველი მოსახლეობა ევროპის მხარეს გადაიხრება და თუკი რუსეთი უფრო აქტიურად გადადგამს ნაბიჯებს, ვიდრე ევროკავშირი, ქვეყანაში გაიზრდება პრორუსულ მომხრეთა რიცხვი. ასე ვარაუდობენ ექსპერტები.

ცხადია, ჩნდება კითხვა, რამ განაპირობა პუტინის პოზიციის შეცვლა, რა არის ამ ყველაფრის განმაპირობებელი ფაქტორი, რა მზაკვრული გეგმა ჩაიფიქრა პუტინმა და რა ელოდება საქართველოს?..

## რა მზაკვრული გეგმა ჩაიფიქრა პუტინმა სავიზო რეჟიმის გაუქმებით საქართველოს წინააღმდეგ?



**ამ საკითხს ვალერი გელბახიანი შეაფასებს:**

**— ბატონო ვალერი, პუტინი მზად არის, საქართველოს თავისივე დაწესებული სავიზო რეჟიმი მოუხსნას. რა პოლიტიკური ქვეტექსტია ამ გზავნილში?**

– ეს არ არის მოულოდნელი განცხადება, რადგან გასულ წელს იგივე რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზად არის, საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლება ერთმანეთს შეხვდნენ და საერთო ენა მონახონ. ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთს სამართლებრივი და პოლიტიკური გზა ჰქონდა დატოვებული, რომ ბოლო ხიდი არ დაეწვა საქართველოსთან ურთიერთობაში. ჩვენმა ხელისუფლებამ პუტინის პირველ განცხადებაზე ყური არ შეიბერტყა, ეს არ იქნა სერიოზულად განხილული პოლიტიკურ წრეებში, დღეს ვფიქრობ, რომ ეს თემა დაძრულია არა საქართველოსთან კეთილგანწყობილი მიზნების გამოსავლენად, არამედ ეს არის რუსეთ-თურქეთს შორის დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე თემა. საქართველო არსი ბუფერული ზონა ამ ორ სახელმწიფოს შორის, ასევე კრიტიკული დამოკიდებულებებია თურქეთსა და ევროპას შორის, გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთ-თურქეთის კონფლიქტის გართულების შემთხვევაში რუსეთს საქართველო პარტნიორად სჭირდება, მას პოლიტიკურმა მოვლენებმა უკარნახა, რომ საქართველოსთან ურთიერთობები არ დაძაბოს და ჩვენი ქვეყანა არ იქნას გამოყენებული რუსეთთან დაპირისპირებული სახელმწიფოების მიერ გარკვეულ პლატფორმად. ბუნებრივია, საქართველოსთან სტაბილურ ურთიერთობას არჩევს, აქედან გამომდინარე, ჩვენც უნდა გამოვიყენოთ რუსეთის გასაჭირი საქართველოს სასარგებლოდ და თუკი ხელისუფლება წავა ამ ნაბიჯზე, ეს არ უნდა აღვიქვათ როგორც პრორუსულ ნაბიჯად. რუსეთი არასოდეს იტყვის უარს იმ განცხადებებზე, რაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის აღიარებასთან არის გაკეთებული, მაგრამ ასეთმა ფაქტებმა წინა პლანზე უნდა წამოსწიოს ისეთი ვალდებულებები, რომელიც 2008 წლის 13 აგვისტოს ომის შემდეგ ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი. ამ ხელშეკრულების თანახმად, 2008 წლის 5 აგვისტომდე ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრების სტატუს კვო უნდა აღადგინოს. მე ვფიქრობ, იმდენად მნიშვნელოვანია რუსეთისთვის საქართველოს როლი, თუკი ხელისუფლება საპასუხო ნაბიჯს გადადგამს, მას ელექტორატის მხარდაჭერაც ექნება არჩევნებზე.

**— პუტინი აცხადებს, მე არაფერ შუაში ვარ, არ ვერევი, აფხაზებთან და ოსებთან თქვენ ილაპარაკეთო. როგორ ფიქრობთ, დაგვითმობს რუსეთი წართმეულ ტერიტორიებს?**

– არ შეიძლება ისეთი ნახტომის გაკეთება, როცა ერთი თვისობრიობიდან მეორეში გადადიხარ. ყველაფერს ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივყვეთ, თუ რუსეთი სავიზო რეჟიმს გააუქმებს, ე.ი. ამას უნდა მოჰყვეს მეორე ნაბიჯი, რასაც ჰქვია 2008 წლის ნაკისრი ხელშეკრულების სისრულეში მოყვანა და ტერიტორიების სტატუს კვოს აღიარება. ადმინისტრაციული საზღვრები, რომელიც დღეს გორამდეა მოსული, თავის ნიშნულზე უნდა დაბრუნდეს. შემდეგი ნაბიჯი კი იქნება იმ მოლაპარაკების დაწყება, როცა რუსეთის მეშვეობით ჩვენ უნდა შევძლოთ ცხინვალისა და სოხუმის ხელისუფლებასთან საუბარი და მოვძებნოთ საერთო ენა. ამაში სწორედ რუსეთმა უნდა გვიშუამდგომლოს.

**— დღეს ველოდებით ვიზალიბერალიზაციის ანგარიშს, რომელმაც დაიგვიანა. რატომღაც, ეს საკითხი ყველას დაავიწყდა და მაინტერესებს, რა საფრთხეები ელოდება ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც ევროპაში არალეგალურად იმყოფებიან და სამუშაოთა მაძიებელთათვის რა პრივილეგიები იქნება ვიზალიბერალიზაციის მიღების შემდეგ?**

– ვიზალიბერალიზაციის განცხადებას პუტინის განცხადება მოყვა, კონკურენტუნარიანი სიტუაცია შეიქმნა. თქვენი გაზეთის საშუალებით საქართველოს ხელისუფლებას ვურჩევდი, თვითდინებით არ მიუშვას ეს პროცესი, ჩვენ ევროპულ სახელმწიფოებთან უნდა გავაკეთოთ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები, რომ გერმანია, საფრანგეთი, საბერძნეთი, თავად იყოს ქართველი ემიგრანტების კვოტების განმსაზღვრელი, მაგალითად, თურქეთმა თავის დროზე გერმანიის მთავრობასთან ხელი მოაწერა შრომითი ემიგრაციის ხელშეკრულებას და განუსაზღვრა წელიწადში 25 ათასი თურქის დასაქმება გერმანიაში სამი წლით, თუ ჩვენი მთავრობაც თავს შეიწუხებს და მინიმუმ ამ სამ სახელმწიფოსთან ხელს მოაწერს შეთანხმებას, რომ მათ მიიღონ საქართველოდან შრომითი ემიგრაცია და მისცენ სამუშაო გარანტიები, რათა იატაკქვეშეთში და არალეგალურად აღარ იყვნენ, ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „რესპუბლიკელები" კოალიციაში რჩებიან"




„რესპუბლიკელების" თავმჯდომარის, ხათუნა სამნიძის განცხადებით, „რესპუბლიკური პარტია" 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მმართველი კოალიციის შემადგენლობაში რჩება, თუმცა მმართველ გუნდში სიახლეებისა და ცვლილებების საჭიროებაზე საუბრობს. მისი თქმით, აუცილებელია კოალიციამ 2016 წლის კოალიციურ შეთანხმებაზე იმუშაოს. აღნიშნული შეთანხმებით უნდა განისაზღვროს, კოალიციის შიგნით კრიზისის არსებობის შემთხვევაში როგორ მოხდება მისი დარეგულირება, როგორი იქნება ხმის მიცემის რეგულაციები.

„2 წლის მანძილზე „რესპუბლიკურმა პარტიამ" გადადგა ნაბიჯები, რითაც ამომრჩეველსა და კოალიციურ პარტნიორებს აჩვენა, რომ ჩვენ ვართ სანდო, თუმცა კრიტიკული პარტნიორი, არ ვერიდებით ჩვენი კრიტიკული აზრის გამოთქმას. ჩვენ მზად ვართ კოალიციური შეთანხმებისთვის.

2012-ში კოალიცია შეიქმნა იმისთვის, რომ არჩევნები მოგვეგო და რეჟიმი შეგვეცვალა, 2016 არის ახალი ეტაპი, ახალი ციკლი, ამისთვის კოალიციას განახლება და ძირითად თემებზე კოალიციური შეთანხმება სჭირდება. უნდა იყოს კრიზისების მართვის მექანიზმი. 2016 წლის არჩევნებს ჩვენ კოალიციურ რეჟიმში შევხვდებით, მაგრამ უნდა ვიმუშაოთ 2016 წლის კოალიციურ შეთანხმებაზე. ეს იქნება ერთიანი პროგრამა, როგორ ვაპირებთ მისვლას ამომრჩეველთან. ამაზეა დამოკიდებული, რა კონფიგურაციით, რა შეთანხმებით და ხელშეკრულებით წარდგება კოალიცია ამომრჩევლის წინაშე", – განაცხადა სამნიძემ.

მისი თქმით, „ბიძინა ივანიშვილი არ აპირებს, 2016 წლის არჩევნებზე საარჩევნო სიაში იყოს. თვითონ ივანიშვილი აცხადებდა და საუბარია იმაზე, რომ ის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთვება და მხარს დაუჭერს კოალიციას, რომლის დამფუძნებელიც თავად არის. თუმცა კონკრეტულად რა ფორმით მოხდება ეს, ჯერ უცნობია", – განაცხადა სამნიძემ. (kvira.ge)

## ტიმოშენკომ სააკაშვილი-ავაკოვის ინციდენტი შეაფასა




რეფორმების საბჭოზე მომხდარ ინციდენტს უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო გამოეხმაურა.

ტიმოშენკომ კომენტარი ტელეკომპანია „112 უკრაინას" ეთერში გააკეთა. მისი თქმით, სააკაშვილმა და ავაკოვმა მაღალი რანგის შეხვედრაზე დაპირისპირებითა და უცენზურობით ქვეყანა შეურაცხყვეს, რის გამოც ისინი პოლიტიკიდან უნდა წავიდნენ.

ტიმოშენკოს კრიტიკის ობიექტად იქცა უკრაინის მოქმედი პრემიერ-მინისტრიც. მისი თქმით, იაცენიუკს ქვეყნის ბიუჯეტის განადგურებისა და ქვეყნის ეკონომიკის დანგრევისთვის არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ, სამართლებრივი პასუხისმგებლობაც უნდა დაეკისროს. (ივერიონი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 169-ე ბაღის ახალმა დირექტორმა თანამშრომლები გაათავისუფლა




მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის" ინფორმაციით, 169-ე ბაგა ბაღის ახალმა დირექტორმა სამსახურიდან თანამშრომლები გაათავისუფლა. როგორც ორგანიზაციის დამფუძნებელი, ლევან ხაბეიშვილი აცხადებს, ბაღის დირექტორმა ნინო ბუჩაშვილმა სამსახურიდან სამი პედაგოგი დაითხოვა. როგორც ხაბეიშვილი ამბობს, თანამშრომლების ბაღიდან პოლიტიკური ნიშნით თავისუფლდებიან, ხოლო ახალ კადრებს ბუჩაშვილს პარტია „აწვდის".

შეგახსენებთ, რომ 169-ე ბაგა ბაღი ყურადღების ცენტრში ცოტა ხნის წინ მოექცა. მაშინ, როდესაც თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა თემურ თორდინავამ დირექტორი ფიქრია ჩახნაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ჩახნაშვილმა ამის მიზეზად მაშინ თორდინავას მიერ სპეცსამსახურების დავალებების შესრულება დაასახელა. ასევე გავრცელებული ინფორმაციით, ჩახნაშვილს თორდინავამ, მასწავლებლების სრული შემადგელობის გათავისუფლება მოსთხოვა, რასაც ის არ დათანხმდა. რაც შეეხება ახალ დირექტორს, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ნინო ბუჩაშვილი ვარკეთილის მაჟორიტარის და საკრებულოს დეპუტატის, ია მაკასარაშვილის მეგობარია და დირექტორად მისი დანიშვნაც სწორედ მაკასარაშვილის ჩარევით მოხდა. ბუჩაშვილის დირექტორად დანიშვნას 169-ე ბაღის მშობლების პროტესტიც მოჰყვა და მათ ახალ დირექტორს კაბინეტის კარიც აუჭედეს. ამჟამად 169-ე ბაგა ბაღის ყოფილი დირექტორი ფიქრია ჩახნაშვილი სასამართლოში დავობს და თანამდებობაზე აღდგენას ითხოვს. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები დაკითხვაზე დაიბარეს



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები დაკითხვაზე დაიბარეს. ამის შესახებ ინფორმაციას „რუსთავი 2“ ავრცელებს. ტელეკომპანიის ინფორმაციით, ჟურნალისტების დაკითხვაზე დაბარება მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილის წინააღმდეგ მსჯავრდადებულების ოჯახის წევრების მხრიდან წაყენებულ ბრალდებებსა და ქალთა კოლონიის ყოფილ თანამშრომელთან ინტერვიუს ეხებოდა.

როგორც დაკითხვიდან გამოსულმა ჟურნალისტმა ნათია ტრაპაიძემ განაცხადა, მას გამოძიებისთვის ჩვენება არ მიუცია, რადგან ამის უფლებას მას კანონი აძლევდა.

– ჩვენება არ მიმიცია, რადგან კანონი მაძლევს უფლებას, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, არ მივცე ჩვენება. მე კანონის ეს ნორმა გამოვიყენე, – აღნიშნა ნათია ტრაპაიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## „მოდაშია“ სავარჯიშო გირების მოპარვა!..



სარაგბო კლუბ „არწივების“ ხელმძღვანელი თენგიზ კალანდაძე:

– 9 დეკემბერს ჩვენი დარბაზიდან 4 გირა მოიპარეს. აქედან 2 32-32 კგ-ს იწონიდა, 2 კი – 16-16 კგ-ს. ოთხივე ძველი გირა იყო. რაღაც ხდება აშკარად. გავიგეთ, რომ იბარებენ ძველ გირებს, მაღალ ფასებში და ალბათ ამიტომ, თორემ ვინმეს ეს სავარჯიშოდ დასჭირვებოდა და ამ მიზნით წაეღო, არა მგონია. მე დავრეკე თბილისში, სპორტული ინვენტარის მაღაზია „იმედში“, რომელთანაც გვაქვს ხელშეკრულება გაფორმებული და 4 გირა რომ ვიყიდო, თანამედროვე, ერთი კგ-ს ფასი არის 5 ლარი. საერთო ჯამში, დამიჯდება 490 ლარი. მომხდარის შესახებ შევატყობინეთ პოლიციას. ადგილზე იმყოფებოდნენ კრიმინალისტებიც, – განაცხადა კალანდაძემ.

სავარჯიშო გირები წაღებულია ყოფილი სასპორტო სკოლიდან და ე.წ. რუდოს დარბაზიდანაც, სადაც ასევე ძველი გირებით ვარჯიშობდნენ. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ძველ სავარჯიშო გირებს კერძო კოლექციონერები იბარებენ და მისი ფასი შავ ბაზარზე, საკმაოდ მაღალია. სავარაუდოდ, გახშირებული ქურდობებიც ამას უკავშირდება.

## მთიან ყარაბახში აზერბაიჯანელი ჯარისკაცი დაიღუპა

მთიანი ყარაბახის ზონაში მომხდარი შეიარაღებული ინციდენტის შედეგად აზერბაიჯანელი ჯარისკაცი ჯაფარზადე რაშად ალიარ ოღლუ დაიღუპა. ამის შესახებ აზერბაიჯანული მედია ქვეყნის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით წერს.

გავრცელებული ინფორმაციით, აზერბაიჯანული პოზიციები ნაღმმტყორცნებით დაიცხრილა.

თავდაცვის სამინისტრომ უარყო სომხურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც დაღუპულია ორი აზერბაიჯანელი სნაიპერი.

– აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები ფრონტის ხაზზე ოპერატიულ სიტუაციას სრულად აკონტროლებს, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## თბილისში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის ბიუჯეტი 12 მლნ ლარით მცირდება





– თბილისში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის ბიუჯეტი 12 მილიონი ლარით მცირდება, – ამის შესახებ თბილისის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ირაკლი ნადირაძემ განაცხადა.

ირაკლი ნადირაძის თქმით, თბილისში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების ბიუჯეტი მცირდება, იმის ნაცვლად, რომ დედაქალაქში საცობებია და ამ პრობლემის მოსაგვარებლად დაფინანსება გაზრდილიყო. ირაკლი ნადირაძის ინფორმაციით, გასულ წელს ამ მიზნით 115 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი და თბილისის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით კი 103 მილიონი ლარი იქნება.

– ამ კლების ფარგლებში ისინი კიდევ დამატებით ერთ მილიონ ლარს გამოყოფენ საკონსულტაციო მომსახურებისთვის. კერძოდ, ჩატარდება კვლევა, როგორ განიტვირთოს ქალაქი საცობებისაგან. ამ კვლევის ჩატარების ნაცვლად, უკეთესი იქნებოდა ერთი მილიონი ლარი ქალაქში ორმოების ამოვსებას და გზების სამუშაოებს მოხმარებოდა, – აღნიშნა ირაკლი ნადირაძემ.

საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, გასულ წელს თბილისის მერიამ 18-მილიონიანი სესხი აიღო გზების მოსაწესრიგებლად, მომავალ წელს კი თბილისელებს მოუწევთ ამ სესხის 2 მილიონი ლარით მეტის გადახდა, ვიდრე აქამდე ხდებოდა. (ინტერპრესნიუსი)

**ტფუი, ამ ცხოვრების დედა ვატირე, „ნაცმოძრაობას“ რომ აუბამ მხარს, მაგრამ „ქართული ოცნების“ ბრალია ეს, რომელსაც ნამუსი რომ ჰქონდეს, ამდენ მითქმა-მოთქმას კი არ უნდა იწვევდეს, კანიდან უნდა ძვრებოდეს და საქმეს ისე აკეთებდეს! რატომ და იმიტომ, რომ სწორედ „ნაცქირთან“ ბრძოლისთვის გადადო და გაწირა თავი მოსახლეობამ იმ იმედით, რომ რაღაც ეშველებოდა ქვეყანას, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ — უნამუსობა-არაადამიანობის მეტი არაფერი გვესმის!**

**ჰო, შეამცირებს 12 მილიონით ნარმანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პროექტებს აბა, რას იზამს, იმიტომ, რომ იმედი აქვს და დარწმუნებულია, შსს-ს კანონპროექტი სულ მალე კანონად იქცევა და პრობლემებიც თავისთავად მოგვარდება.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თბილისში გრინჩია...



თბილისში გრინჩია. არ გეგონოთ, ჯიმ ქერი ჩამოდის ან მწვანე ფორმაში გადაცმული დადის ვინმე, ნამდვილია! „თბილისელი“ გრინჩი ასე გამოიყურება: საშუალო სიმაღლისაა, აცვია ძირითადად კოსტიუმი, ხშირად დადის ღონისძიებებზე, ხალხსაც კი არ ემალება. როგორც საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობა ამბობს, გრინჩი ძალიან სახიფათოა, რადგან თბილისის გარეუბნებს ახალ წელს ჰპარავს, თუმცა სად მიაქვს, კაცმა არ იცის. თურმე, უბრძანებია – საახალწლო განათება მხოლოდ თბილისის ცენტრს სჭირდება, გარეუბნებს ისიც ეყოფა, საერთოდ რომ აქვთ ახალი წელიო. გარეუბანში თუ ცხოვრობ, დააჯექი ყვითელ „მარშრუტკას“, მეტროს, ავტობუსს, ტაქსს (იმ შემთხვევაში თუ გარეუბანში პრივილეგირებულ კასტას წარმოადგენ) და მანქანას (თუ კიდევ უფრო პრივილეგირებულს) და ნახე განათებები, რა პრობლემააო. ამ გრინჩის სახელი და გვარი დავით ნარმანიაა და მერად მუშაობს.

უი, ხო, ყველაფერი მოვყევი და გრინჩის მიერ ახალი წლის მოპარვის არსი რაში მდგომარეობს, ის არ მითქვამს. მერიის გადაწყვეტილებით, საახალწლო განათებები მხოლოდ თბილისის ნაწილში დამონტაჟდება, ნაწილში კი, ძირითადად გარეუბნებში – არა. კითხვაზე, რატომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება, მერიაში არ გვიკონკრეტებენ.

მერიის ინფორმაციით, რეკონსტრუირებული ილუმინაციები დამონტაჟდა:

ვაჟა ფშაველას გამზირი, ყაზბეგის გამზირი, პეკინის ქუჩა, კოსტავას გამზირი ფილარმონიის მიმდებარედ, ვახუშტის ხიდი, გლდანულის შესასვლელი (ალბათ ვინმე მაღალჩინოსანი ცხოვრობს), დუმბაძის ქუჩა (აქაც), გადასასვლელი ხიდიდან კინოთეატრ „საქართველომდე“, დადიანის ქუჩა, ბუშის ქუჩა, ქეთევან წამებულის გამზირი, კოსტავას გამზირი ტელევიზიის მიმდებარედ და შარტავას ქუჩა. ძველი ილუმინაციები – „ანგელოზები“ მარჯანიშვილის მოედანზე დაიდგა.

ახალი დიზაინით და ილუმინაციებით მოირთო თბილისის ცენტრალური ნაწილი: რუსთაველის გამზირი, ჭავჭავაძის გამზირი, მელიქიშვილის გამზირი, კოსტავას ქუჩები, ასევე, დაემატა ავლაბრის აღმართი და თამარაშვილის ქუჩა. დედაქალაქის საახალწლო განათებასა და ცენტრალური ნაძვის ხის მორთვაში წელს მილიონ ლარამდე თანხა დაიხარჯება.

ჩვენც კაი უმადურები ვართ, ისე! საერთოდ რომ გვაქვს ელექტროენერგია, იმაზეც მადლობლები უნდა ვიყოთ და ამის ნაცვლად მოვინდომეთ გარეუბნებში საახალწლო განათებები. ან კიდევ, გადადი ცენტრში საცხოვრებლად, რომ ჩარჩი ამ გარეუბანში და გრინჩიც აღარაფერს მოგპარავს! (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ნიდერლანდებში ლტოლვილთა ბანაკის მშენებლობა აქციით გააპროტესტეს



ნიდერლანდებში ლტოლვილთა ბანაკის მშენებლობის გასაპროტესტებლად აქცია გაიმართა. „ბიბისის“ ინფორმაციით, სამართალდამცველებმა აქციის მონაწილეები დაარბიეს, დაკავებულია რამდენიმე აქტივისტი.

ადგილობრივების პროტესტი ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებამ გამოიწვია, რომლის თანახმადაც ქალაქ გერდერმალსენში 1 500 ლტოლვილისთვის განკუთვნილი ცენტრი აშენდება.

მოლაპარაკებები აღნიშნულ საკითხზე საქალაქო საბჭოში მიმდინარეობდა, რა დროსაც მომიტინგეებმა შენობაში შეჭრა სცადეს. საპროტესტო აქციაში 2 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მათ სამართალდამცველებს ბოთლები დაუშინეს.

როგორც „ბიბისი“ წერს, წელს ნიდერლანდებში რამდენიმე ათეული მიგრანტი ჩავიდა. მათი უმრავლესობა სირიის, ერაყის, ასევე, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის სხვა ქვეყნების მოქალაქეა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ლევან მამალაძე — ბესელია და ხიდაშელი ბინძურ საქმეებს სჩადიან და ივანიშვილს მოვუწოდებ, გარიცხოს „ოცნებიდან“



ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძე პოლიტპატიმართა სიიდან მისი ამოღების ფაქტს, ერთი მხრივ, ფინანსურ გარიგებაზე უარის თქმით და მეორე მხრივ, თინა ხიდაშელის ფაქტორით ხსნის.

როგორც მამალაძემ ქართველ ჟურნალისტებთან „სკაიპ“-კონფერენციის დროს განაცხადა, მისთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებს პრეტენზია და კითხვის ნიშანი არ ჰქონიათ.

– ამ სიიდან ამოღება მოხდა შემდეგი გარემოებებით – 2012 წლის ნოემბერში, როდესაც განხილვები მიმდინარეობდა, ამას შემდეგ გარკვეული მინიშნებები მოჰყვა. კერძოდ, ჩემზე იყო გარკვეული მინიშნებები, რომ იცით, რა? კომისიაში საკითხი იხილება, მაგრამ თქვენთან გარკვეული ურთიერთობა უნდათ... მინიშნებები იყო მატერიალურ დაინტერესებაზე, – განაცხადა მამალაძემ.

მან არ დაასახელა, ვისი მხრიდან გაკეთდა ეს მინიშნება, თუმცა თქვა, რომ ეს პიროვნება ეკა ბესელიას ახლობელი იყო, ფოთიდან. მამალაძის თქმით, მას შემდეგ, რაც ის ბინძურ თამაშს არ ჩაჰყვა და ღია ეთერით განაცხადა, რომ არანაირ გარიგებაში არ შევიდოდა, სიიდან ამოიღეს.– როცა საკითხის გარკვევა დავიწყე, ბესელიას გარემოცვის მხრიდან მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ჩემი ამოღება მოხდა იმის გამო, რომ პირადად თინა ხიდაშელი ერეოდა საქმეში. როგორც კი დაინახეს, რომ მატერიალურ სარგებელს ვერ მიიღებდნენ, პოლიტიკურ რაკურსში გადაიტანეს ეს თემატიკა. მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ხიდაშელი მისული იყო ბიძინა ივანიშვილთან, მხოლოდ ცუდი ილაპარაკა ჩემზე და დააფიქსირა, რომ ჩემი სიაში შეყვანა არ შეიძლებოდა, რადგან ჩამოვიდოდი და პოლიტიკურ პროცესებში ხელს შევუშლიდი, – განაცხადა ლევან მამალაძემ.

ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი აცხადებს, რომ ის მხარს უჭერს ბიძინა ივანიშვილს, რომლის ზურგს უკან ამოფარებულები, ეკა ბესელიას თუ თინა ხიდაშელის სახით, ბინძურ საქმეებს სჩადიან და ექსპრემიერს მოუწოდებს, ადამიანები, რომლებიც მის სახელს ბღალავენ, „ქართული ოცნებიდან“ გარიცხოს. (ინტერპრესნიუსი)

## ქუთაისში „პეესპეს“ აფთიაქი დააყაჩაღეს



ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩაზე მდებარე „პეესპეს“ აფთიაქი დააყაჩაღეს. აფთიაქში ნიღბიანები იმ დროს შეიჭრნენ, როცა ადგილზე მომხმარებლებიც იმყოფებოდნენ.

არსებული ინფორმაციით, წაღებულია 700 ლარი. (ნიუპოსტი)

# გარევაჭრობებზე სურსათის შეძენისას ფრთხილად!

## შარშან ქუჩაში ნაყიდ გოჭს ქალი მოუკლავს








დიანა ლიპარტელიანი

571 80-40-80


**არასამთავრობო ორგანიზაცია, „ანტიკორუფციული კავშირი“, წინასაახალწლოდ, გარევაჭრობისგან მოსალოდნელ საფრთხეზე საუბრობს. როგორ უნდა დაიზღვიოს თავი მომხმარებელმა? რა რეკომენდაციით მიმართავს „სურსათის ეროვნული სააგენტო“ მოსახლეობას?**

**„ალიას“ „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გია ბურჯანაძე ესაუბრა:**

– ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, ამ დღეებში დაიწყება რაიონებიდან იმ ადამიანების ჩამოსვლა, რომლებსაც საახალწლოდ სხვადასხვა პროდუქტი ჩამოაქვთ სარეალიზაციოდ. ეს საზოგადოებისთვის საშიშია, რადგან აღნიშნული ტიპის პროდუქცია არ ექვემდებარება კონტროლს. შესაბამისად, ხშირია მოწამვლა, რომლებიც ამ პროდუქტებისგან მოდის. საუბარია – გოჭებზე, ქათმებზე, ინდაურებზე და ა.შ. განსაკუთრებით საშიში ვითარება იქნება თბილისის ისეთ რაიონებში, სადაც უფრო მეტად მიედინება სოფლიდან ჩამოსული ნობათი – ასეთია, მაგალითად, დიდუბე, ვაგზალი, ვარკეთილი... მოსახლეობას მოვუწოდებთ სიფრთხილისკენ. სურსათის ეროვნულ სააგენტოს გარევაჭრობა არ ეხება, მაგრამ როგორც ვიცი, მაინც ცდილობენ ხოლმე გაკონტროლებას, თუმცა ეს არ არის ხოლმე საკმარისი. იმდენად დატვირთულია ეს დღეები გარემოვაჭრეებით, რომ ვერც კი წვდება ამ სააგენტოს რესურსები ამ საკითხის დარეგულირებას. ამიტომაც, წინასაახალწლოდ, პროდუქცია ისეთ ადგილებში არ უნდა შევიძინოთ, სადაც დაკმაყოფილებული არაა სანიტარიული ნორმები. წინააღმდეგ შემთხვევაში მოწამვლა გარანტირებულია.

**— მოწამვლის ფაქტები გაქვთ?**

– როგორ არა, გასულ წელს ქალბატონმა, რომელსაც რაღაც აცრები ჰქონია გაკეთებული, შეიძინა გოჭი. აღმოჩნდა, რომ ნაყიდი გოჭი დაავადებული იყო. ამ გოჭის ხორცის მიღებამ გამოიწვია რეაქცია და ამ ქალბატონის სიცოცხლე ფატალურად დასრულდა.

**— დადასტურებულად იცით, რომ გოჭი გარევაჭრობაზე შეიძინა? მანდ იმიტომ ყიდულობს ხალხი პროდუქტებს, რომ შედარებით იაფია.**

– კი და ამაზე საუბრობდნენ თავად ექიმები, რომლებიც ამბობდნენ, რომ მათ პაციენტის გამოკითხვის შედეგად მიღებული ჰქონდათ დასტური, რომ აღნიშნულ პიროვნებას მიღებული ჰქონდა პრეპარატი. რაჭაში, ერთ კაცს გოჭები უწყდებოდა რაღაც დაავადების გამო, მაგრამ მაინც დაეხოცა ეს გოჭები. ჩამოიყვანა და გაყიდა წინასაახალწლოდ, რომელიც დაავადებულმა ქალბატონმა მიიღო და რეაქციის შედეგად მოხდა ის, რაც მოხდა.

საყურადღებოა ერთი რამეც: ხდება გოჭის, ინდაურისა და ა.შ. ცხოველის თუ ფრინველის ხორცის წინასწარ შესყიდვა, მერე ამას ინახავენ მაცივრებში და წინასაახალწლოდ გაძვირებული ფასებით ყიდიან ქუჩებში. შენახვისას ზოგჯერ ტემპერატურული ნორმები დარღვეულია და ასეთი პროდუქცია უვარგისი ხდება.

ზემოთ კონტროლზე რომ ვსაუბრობდი, დავამატებ იმას, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვერანაირ სანქციას ვერ იყენებენ, ვერ აჯარიმებენ ფიზიკურ პირებს, ეს კომპეტენცია არის საპატრულო პოლიციის, რომელიც ისედაც ათასგვარი დეტალითაა დატვირთული და ამდენი გარემოვაჭრე რომ მოაწყდება ქალაქს, ვერ გაუმკლავდება. მომხმარებელს ვურჩევ, პრობლემები რომ აირიდოს თავიდან, შეიძინოს ისეთ ბაზარში, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამსახურების მიერ კონტროლდება.

სამწუხაროდ, ქვეყნის ჭირად მოგვევლინა ის, რომ კანონმდებელი დღეს სხვა რამეებზე ფიქრობს და არა იმაზე, რაც მართლა ცხვირწინ უდევს პრობლემის სახით, თუმცა მათ მოგვარებაზე არავინ ზრუნავს. მივმართავ პარლამენტს, რომ დარეგულირდეს გარევაჭრობის საკითხი. შეიმუშაონ ბერკეტები, რომლითაც მოხდება ამ საკითხის გაკონტროლება. გასაგებია, რომ გლეხი ჩამოდის იმისთვის, რომ ოჯახის შესანახად ცოტა ფული მაინც იშოვოს, მაგრამ პროდუდუქციის ხარისხიც უნდა გაკონტროლდეს. ჩვენ ნაახალწლევს შევხვდებით შესაბამის ორგანოებს, რომ ეს საკითხი წამოიწიოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. რას და როგორ გავაკეთებთ, ამის თაობაზე საქმის კურსში ჩაგაყენებთ.

**„ალია“ სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელს, ზაზა დოლიძეს დაუკავშირდა:**

– ჩვენი კონტროლის ობიექტები კანონმდებლობით დარეგისტრირებული არიან, როგორც ბიზნესსუბიექტები, ამ სურსათის ოპერატორებს შეხება აქვთ სურსათის წარმოებასთან, გადამუშავებასა და მის გაყიდვასთან, შესაბამისად, ის ვალდებულია, დარეგისტრირდეს, როგორც ბიზნესოპერატორი. ჩვენ უფლება გვეძლევა, მხოლოდ ამ პროცედურების გავლის შემდეგ დავიწყოთ მასზე კონტროლი. იმ იურიდიულ პირს – მაღაზიას, რესტორანს, რომელიც არ არის რეგისტრირებული, ვაჯარიმებთ იმის გამო, რომ არ არიან ჩვენთან დარეგისტრირებული. ამის შემდეგ ხდება მათზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება. წინასაახალწლო დღეებში იზრდება პროდუქციის მოხმარება და, შესაბამისად, ჩვენ უფრო ინტენსიურს ვხდით მონიტორინგს.

დღეისთვის სურსათის ეროვნული სააგენტოს პრეროგატივაში არ შედის გარევაჭრობები, ეს გარკვეულწილად არის პრობლემა, მათ კონტროლზე ზრუნავენ მუნიციპალიტეტები მისი ზედამხედველობის სამსახურების მეშვეობით, ასევე, საპატრულო პოლიცია, ჩვენ გარევაჭრობას ვერ ვეხებით. ამ ეტაპზე ამ კონტროლს ვერ ვახორციელებთ, თუმცა ირიბად ვცდილობთ, მუნიციპალიტეტთან და პოლიციასთან ერთად, განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქცია, ისეთი, როგორიც არის ხორცი, თევზი, ყველი, ქუჩაში არ იყიდებოდეს.

**— თავადვე აღნიშნავთ, რომ ძალიან დიდი პრობლემაა გარევაჭრობაზე გამოტანილი პროდუქციის გაკონტროლება. ხომ არ გეგმავთ ამ მიმართულებით რაიმე ცვლილებების გატარებას?**

– გამზადებული გვაქვს ცვლილებათა პაკეტი, რომელიც „სურსათის კოდექსში“ უნდა შევიდეს, რომლის თანახმადაც სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელს ექნება უფლება, თუ ის ეჭვს შეიტანს, რომ სურსათი არ არის ხარისხიანი და ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი. ეს კანონი უკვე გაგზავნილია პარლამენტში და ველოდებით მის განხილვას.

**— რას ურჩევთ მოსახლეობას, როგორ უნდა მოიქცნენ მანამ, სანამ ეს კანონი შევა ძალაში?**

– მოსახლეობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს მალფუჭებადი პროდუქტის ყიდვის პროცესში. უნდა დარწმუნდეს, რომ საქონლისა და ღორის ხორცი მოწოდებულია სასაკლაოებიდან და უნდა იყიდებოდეს ისეთ გარემოში, სადაც არ მოხდება გარემოფაქტორებით მისი დაბინძურება და სადაც იქნება დაცული ელემენტარული ჰიგიენის პირობები. ქუჩაში, საბარგულსა და ტრასაზე გამოტანილი პროდუქცია არც ერთ შემთხვევაში არ იქნება სრულიად უსაფრთხო და ეს შეიძლება იყოს ბიოლოგიური, ან ფიზიკური საფრთხე. შესაბამისად, მისი შეძენა და მიღება არ არის სასურველი. ვურჩევთ მოსახლეობას, არ შეიძინონ სახელდახელო ბაზრობებზე გამოტანილი პროდუქტი, რომელიც არ არის მოთავსებული სამაცივრე პირობებში.

**— გარევაჭრობას იმიტომ არჩევს ხალხი, რომ ფასებშია სხვაობა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე, მცირედი სხვაობაც კი, ხშირად ძალიან დიდი შვებაა მოსახლეობისთვის...**

– ჩვენი კვლევების თანახმად, დიდი სხვაობა გარეთ ნაყიდ და აგრარულ ბაზარში ნაყიდ პროდუქტებს შორის არ არის, თუ ბაზარში ღირს 15 ლარი, ქუჩაში ღირს 14 ლარი. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შესაძლოა ინტოქსიკაციით ბევრად უფრო დიდი ზარალი მიიღოს, ვიდრე იმ ელემენტარული, უმნიშვნელო ფინანსური სხვაობით, რასაც ის ნახულობს პროდუქციის შეძენისას.

**— იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი აღმოაჩენს, რომ საეჭვო პროდუქციასთან აქვს საქმე, როგორ უნდა მოიქცეს?**

– სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს მომხმარებელს, საეჭვო წარმომავლობის სურსათის აღმოჩენის, ან გამოვლენის შემთხვევაში დარეკონ სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხელ ხაზზე: 291-91-68, ან 291-91-67, შეგვატყობინონ არსებული დარღვევების შესახებ და არც ერთი შემთხვევა რეაგირების გარეშე არ დარჩება.

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 9 თვის ბავშვს ძმარმჟავა გადაესხა



9 თვის ბავშვს შემთხვევით ძმარმჟავა გადაესხა, რის შედეგადაც სხეულის ქიმიური დამწვრობა მიიღო. შემთხვევა თბილისში მოხდა.

როგორც იაშვილის სახელობის თერმული დაზიანებისა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის ხელმძღვანელი, გუგა ქაშიბაძე აცხადებს, პატარას ქიმიური დამწვრობის შედეგად მუცლისა და ბარძაყის არე დაეწვა.

„პაციენტი დამწვრობის ცენტრში ქიმიური დამწვრობით შემოიყვანეს. როგორც ოჯახის წევრები აცხადებენ, პატარა ბიჭუნას ძმარმჟამავა სხეულზე შემთხვევით გადაესხა, რის შედეგადაც სხეულის მე-2-3 (ა) ხარისხის დამწვრობა მიიღო. ამჟამად ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას საფრთხე არ ემუქრება და მას შესაბამისი მკურნალობა უტარდება“, – აცხადებს ქაშიბაძე. (kvira.ge)

## რომელ სახელს ატარებს ყველაზე მეტი ქალბატონი საქართველოში



სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო საქართველოში ქალის 5 ყველაზე პოპულარული სახელის ჩამონათვალს აქვეყნებს.

სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში ქალის სახელებში ნინო ლიდერობს, ეს სახელი 121 ათას 717 ქალს ჰქვია, მეორე ადგილზეა მარიამი, ამ სახელს საქართველოში 105 453 ქალბატონი ატარებს, მესამე ადგილზეა თამარი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში 87 ათას 375 ქალს ჰქვია. მეოთხეზე ანა - 67 883 მონაცემით, მეხუთეზე კი - ნანა. ეს სახელი საქართველოში 53 ათას 182 ქალს ჰქვია. (kvira.ge)

## მცხეთა-ლარსის საავტომობილო გზაზე „საევაკუაციო ნაგებობები“ მოეწყობა



მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 136-ე კილომეტრზე მოსალოდნელი სტიქიური და „ფორსმაჟორული“ მოვლენების შედეგების პრევენციის მიზნით, „საევაკუაციო ნაგებობები“ მოეწყობა. მსგავსი პროექტი საქართველოში პირველად ხორციელდება და სტიქიის შემთხვევაში, საბაჟოს მომსახურე პერსონალისა და მგზავრების უსაფრთხო ევაკუაციას უზრუნველყოფს.

პროექტი კლდის ფერდზე 208,80 მეტრი სიგრძის და 2.25მ სიგანის საევაკუაციო დერეფნის მშენებლობას ითვალისწინებს. მყინვარ დევდორაკზე, განთავსებულ სპეციალურ საგუშაგოში 24-საათიანი მორიგეობაა დაწესებული. განგაშის გამოცხადების შემთხვევაში შესაბამისი სამსახურები ოპერატიულად უზრუნველყოფენ სტიქიის ზონაში ავტოტრანსპორტის მოძრაობის ჩაკეტვას. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ქართველი და სომეხი ჩხუბობენ რუსულ ენაზე, რომელია მათგან უკრაინელი...“




ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილისა და უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ არსენ ავაკოვის დაპირისპირებას სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სოციალური ქსელის მომხმარებლები ავაკოვისა და სააკაშვილის ჩხუბის შარჟებსაც აქვეყნებენ.

ყველაზე დიდი წარმატება ერთ-ერთ ხუმრობას ერგო, რომელიც ქართველისა და სომეხის ჩხუბს ეხება:

„რევოლუცია მაშინ არის ღირსეული, როდესაც ქართველი და სომეხი ჩხუბობენ რუსულად, რომელია მათგან უკრაინელი...“

შეგახსენებთ, რომ უკრაინაში სამთავრობო სხდომაზე მიხეილ სააკაშვილსა და უკრაინის შს მინისტრ არსენ ავაკოვს შორის დაპირისპირება მოხდა. ავაკოვმა სააკაშვილს სახეში წყალი შეასხა. (რეპორტიორი)

# არა, რა, უკვე ზღვარს სცილდება მარგველაშვილის დუმილი!!!

### ე, ბიჭო, უჯიკეთ ვინმემ, პრეზიდენტია თუ ფოთის პოლიცმაისტერი








პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მანანა კობახიძის განმარტებით, თუკი ქვეყანაში მაღალი თანამდებობის პირები კორუფციულ საქმიანობას სჩადიან და ეს პრეზიდენტმა იცის, მან ამაზე მყისიერი რეაგირება უნდა მოახდინოს.

როგორც კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ელისაშვილის საქმესთან დაკავშირებით პრეზიდენტმა გამოძიებას მის ხელთ არსებული ინფორმაცია უნდა მიაწოდოს.

– პრეზიდენტმა ჩვენება უნდა მისცეს, რადგან, როგორც ელისაშვილი აცხადებს, მას ჰქონდა ინფორმაცია ჩანაწერების შესახებ, რომელიც ელისაშვილთან იგზავნებოდა. თუ ეს ინფორმაცია დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა, პრეზიდენტს ჰქონდა პირდაპირი ვალდებულება, რეაგირება მოეხდინა მასზე და თუ ეს რეაგირება ვერ განახორციელა ან არ განახორციელა, ესეც გასარკვევია. ამ ქვეყანაში კონსტიტუციის დაცვის გარანტი არის პრეზიდენტი და თუ პრეზიდენტს აქვს იმის შესახებ ინფორმაცია, რომ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები ორგანიზებულ დანაშაულს სჩადიან, ამაზე რეაგირება მყისიერად უნდა მოხდეს. ვფიქრობ, პრეზიდენტს აქვს რაღაც სათქმელი გამოძიებისთვის.

ყურში ჩურჩულით და ზეპირად ინფორმაციის მიწოდებით არავინ უნდა კმაყოფილდებოდეს. თუ ქვეყანაში მაღალი თანამდებობის პირები კორუფციულ, ორგანიზებულ დანაშაულს სჩადიოდნენ და მათ შორის ადამიანი, რომელიც არაერთგზის ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას, პრეზიდენტს ამაზე უნდა მოეხდინა რეაგირება. თუკი ეს ადამიანი კორუფციულ საქმიანობას ისევ აგრძელებს და პრეზიდენტი ვერ რეაგირებს, ეს ძალიან დიდი სირცხვილია ქვეყნისა და ამ ინსტიტუტის. ამიტომ პრეზიდენტმა უნდა ბრძანოს, რა ინფორმაცია ჰქონდა, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ალეკო ელისაშვილმა პრეზიდენტს თხოვნით მიმართა, დაადასტუროს ან უარყოს, წააკითხა თუ არა მას მესიჯები. მოგვიანებით ელისაშვილის თხოვნას ადამიანის უფლებათა საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა კახა კოჟორიძემ უპასუხა. მისი თქმით, გიორგი მარგველაშვილი ადასტურებს, რომ შეწყალების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილმა მას მესიჯები წააკითხა. (პირველი რადიო)

**ის იყო ის ვაჟბატონი, „მიხეილ ოდესელი“ და ენას არ აჩერებდა, რა კვერცხობაც მოადგებოდა, ყველაფერს აბრეხვებდა. ეს არის და სიტყვა ვერ ათქმევინა ვერავინ.**

**ე, ბიჭო, უჯიკეთ ვინმემ, პრეზიდენტია თუ ფოთის პოლიცმაისტერი, ადუღდა და გადაღუდა ყველაფერი, დაიღალა ხალხი რებუსებით, გამოვიდეს და თქვას, რა იცის, ვინ იმაიმუნა, ვინ იმამაძაღლა და შევიდეს მერე „ბუტკაში“ და რამდენიც უნდა, „იჯდეი“, რა!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დავით ბერძენიშვილი: ეს გადაწყვეტილება ეხება რუსეთს, საქართველოს რუსეთთან არ აქვს სავიზო რეჟიმი



საქართველოს პარლამენტის წევრი დავით ბერძენიშვილი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებას სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით ამგვარი კომენტარით ეხმაურება:

– ეს რუსეთის გასაკეთებელი საქმეა, რადგან საქართველოს რუსეთთან არ აქვს სავიზო რეჟიმი. რუსეთის მოქალაქეები უვიზოდ შემოდიან ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ ახლა თუ არის მზად, მიიღებს გადაწყვეტილებას. ეს საკითხი რუსეთს ეხება და არა საქართველოს, – ამბობს ბერძენიშვილი. (რეპორტიორი)

## „მიხსნიდა, რას გამიკეთებდა, როცა ტყეში შემიყვანდა“ — რას ყვებიან გოგონები თბილისელ მოძალადე ტაქსისტზე




რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში მოქალაქე ელე სარიშვილმა მოძალადე ტაქსის მძღოლის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. სარიშვილის თქმით, ტაქსის მძღოლმა მის ახლობელ ქალბატონზე სექსუალური ძალადობა სცადა, უარის მიღების შემდეგ კი მგზავრი სცემა. შემთხვევა დიღომში მოხდა და ამ ფაქტს თვითმხილველებიც ჰყავს, მაგრამ ტაქსის მძღოლი დაკავებული არ არის.

აღმოჩნდა, რომ ტაქსის მძღოლებისგან სექსუალური ძალადობის მცდელობის მსხვერპლი არაერთი გოგონაა. მათ შორის არის ნინი, რომელმაც სახის გამოჩენაზე უარი თქვა.

გოგონა ამბობს, რომ მასზე სექსუალური ძალადობა ტაქსის მძღოლმა გასული წლის ზამთარში სცადა. ტაქსი მან სანაპიროზე გააჩერა.

ნინის ახსოვს, რომ ტაქსის მძღოლს ცალ ხელზე პრობლემა ჰქონდა და მუქი ფერის ავტომობილს მართავდა.

ტაქსისტის იმავე მახასიათებელ ნიშნებს ასახლებს ჟურნალისტი თამუნა მუსერიძე, რომელიც ამბობს, რომ რამდენიმე წლის წინათ მისი გაუპატიურებაც სცადეს. თამუნამ დახმარებისთვის პატრულს მიმართა, პოლიციამ მოძალადე ტაქსის მძღოლი დროულად დააკავა და მას სასამართლომ 30-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა. როგორც თამუნა აცხადებს, ტაქსის მძღოლი მუხიანში ცხოვრობს და სექსუალური ძალადობა სხვებზეც უცდია.

ბოლო ორი წლის მანძილზე ტაქსის მძღოლის მიერ გაუპატიურების რამდენიმე შემთხვევა მოხდა. ყველაზე შემზარავი იყო ბათუმსა და გორში მომხდარი არასრულწლოვანი გოგონების გაუპატიურება. ტაქსის მძღოლმა ბათუმში – 10 წლის, ხოლო გორში 12 წლის გოგონა გააუპატიურა. (palitratv.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## რატომ შეჭამეთ ჯანეტ ქერდიყოშვილი, „პეროგაყრილებო“? ან თუ სიტყვის თავისუფლებაზე ერთ ადგილს იგლეჯთ, თავად რატომ არ სცემთ პატივს სხვის აზრს?!



ჯანეტ ქერდიყოშვილის განცხადების შემდეგ საზოგადოებამ მომღერალ ნოდიკო ტატიშვილის განცხადება აიტაცა, რომელიც მან ჟურნალ „სარკესთან“ საუბრისას გააკეთა. მომღერალმა ინტერვიუში სასურველი მეორე ნახევრის შესახებ ისაუბრა.

– გამზარდა დედამ, რომელიც არასდროს მაკლებს მოვლა-პატრონობას, გემრიელ სადილ-ვახშამს. ჩემს უზარმაზარ გარდერობში რომ შეიხედოთ, გესიამოვნებათ. სასცენო სამოსი და ფეხსაცმელები ერთად არის მოთავსებული, ყოველდღიური – ერთად.

რადგან ამ ყველაფერს შეჩვეული ვარ, ჩემს ცოლსაც იმავეს მოვთხოვ. მას ამისთვის დამხმარე ქალი არ უნდა დასჭირდეს. ცოლის მზრუნველობა ბევრად მაგარია, ვიდრე უცხო ქალის, რომელიც კვირაში ერთხელ მოდის და შენს ნივთებს აწესრიგებს. სიყვარული მძაფრდება მაშინ, როცა ხედავ, საყვარელი ქალი როგორ გივლის და გეფოფინება. ქალი არ უნდა იყოს ფეთხუმი.



პედანტი ვარ და შეიძლება ამის გამო, გავშორდე. ყველაფერი ესთეტიკურად უნდა გამოიყურებოდეს. ქალს არ უნდა დასჭირდეს იმის თქმა, რომ მტვერი გადაწმინდოს. რა მკაცრი ქმარი ვიქნები, წარმოგიდგენიათ? მკაცრი რომ არ ვიყო, ჩემმა ცოლმა ყველა ეს მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს, – განაცხადა ნოდიკო ტატიშვილმა.

რაც შეეხება ჯანეტ ქერდიყოშვილს, მან თქვა, რომ „ცოლის ღალატი ქმრის „გაგულავებაზე“ მეტად ამორალურია“.

განცხადებები სოციალურ ქსელში ცნობილი ქართველების განხილვის თემად იქცა, ზოგიერთ მათგანს ნოდიკოსა და ჯანეტის დაწყვილების იდეა გაუჩნდა:

**ინგა გრიგოლია:**

„ჯანეტს+ნოდიკო და ნაღდი ქართული ოჯახიც შეიქმნებოდა“.

**არჩილ გამზარდია:**

„არც ქალს უნდა დასჭირდეს და არც კაცს, თუ მტვერი შეამჩნია რომელიმემ, დადგეს და გადაწმინდოს. არ მესმის მსგავსი მიდგომები. მტვერიც გადამიწმენდია, საჭმელიც გამიკეთებია და ცოცხითაც გამომიგვია, თუ ჩემს მეუღლეს არ შეუძლია, ან დაღლილია, ან შეუძლოდაა ან ისე, რომ გამეხარებინა. სხვათა შორის, ეს არც ქრისტიანული მიდგომაა. ქრისტიანული ოჯახი ურთიერთთანხმობასა და ურთიერთამაგზე დამყარებული ოჯახია“.

**დავით კოვზირიძე:**

„ჯანეტი+ნოდარი=ხინკალს“.

**ირაკლი ვაჭარაძე:**

„ქალთმოძულე გეი, რომელიც ოცნებობს, საჯაროდ დაამციროს ქალი, არის სიმდაბლის ყველაზე ამაზრზენი გამოვლინება „ლგბტ“ თემში. ჩვენ თუ თავად არ გავუწიეთ ამას შიგნიდან წინააღმდეგობა, უმრავლესობა არასდროს შეწუხდება მის იდეოლოგიურ სამსახურში ჩამდგარი მონებით. ქართველმა მომღერალმა გეი კაცებმა უნდა შეწყვიტონ ქალების დამცირება. თქვენი ბოდვებიღა აკლდა ქალების ისედაც გამწარებულ ყოფას! ასეთ დამპლობას რომ ვკითხულობ, მინდება ხოლმე, ხალხი ძალით დავაქამინგაუთო. იმიტომ, რომ ზოგს ისეთი დამცრობილი ტვინი აქვს, შენ თუ არ წაჰკარი ხელი, ტყუილსა და მარაზმში ცხოვრებას თავადაც გააგრძელებს და სხვებსაც უწამლავს ცნობიერებას!“

**ნიკა გვარამია:**

„თავისუფლება ჯენეტს! კარგით ახლა, პირველად ნახეთ ვითომ ლამაზი დურა. თუ დაგამშვიდებთ, (ბევრად უფრო ნაკლებად) ლამაზი დურაკები ძალიან უხვად არიან და ლამაზ დურებზე ბევრად უფრო აუტანლები“.

**ნოე სულაბერიძე:**

„ჯანეტა მაგარია, რა! ჩვეულებრივად ორად გაყო ერი:

1. მისი სიტყვებით აღშფოთებული ცოლები, რომლებიც სიამოვნებით დააწიწკნიდნენ თმებს და...

2. მისივე სიტყვებით აღტკინებული, ჩუმი ოცნებანარევი შურით გაჯერებული ქმრები, რომლებსაც ჯანეტას საქართველოში უნდათ ცხოვრება)“.

**სტეფანე მღებრიშვილი:**

„მეც მომინდა რამე *ლეობა ვთქვა, მაგრამ ვერ მოვიფიქრე“. (ამბები.გე)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რას ნიშნავს აშშ-ს ნავთობსაცავების გახსნა და რა შედეგები მოჰყვება მას



აშშ-ს კონგრესში 16 დეკემბერს, 2016 წლის ბიუჯეტზე შეთანხმდნენ, რომლის ფარგლებშიც, აშშ-მ შესაძლოა 40-წლიანი ემბარგო მოხსნას ნავთობის ექსპორტზე. რუსულმა ტელეკომპანია „დოჟდმა“ გამოაქვეყნა სტატია ემბარგოს შესაძლო შედეგებისა და მისი ისტორიის შესახებ.

1973 წელს, OPEC-ში შემავალმა ქვეყნებმა – ალჟირმა, ბაჰრეინმა, ერაყმა, ქუვეითმა, ლიბიამ, ყატარმა, საუდის არაბეთმა, სირიამ, ტუნისმა და არაბეთის გაერთიანებულმა საამიროებმა, უარი განაცხადეს იმ ქვეყნებისთვის ნავთობის მიწოდებაზე, რომლებიც მხარს უჭერდნენ ისრაელს. ისრაელს სირიასთან და ეგვიპტესთან ჰქონდა კონფლიქტი. იმავე წელს მოხდა ე.წ. განკითხვის დღის ომი, ანუ ომი ისრაელსა და არაბული სახელმწიფოების კოალიციის შორის, რომელიც 18 დღეში ისრაელის გამარჯვებით დასრულდა.

არაბეთის ქვეყნებს არ მოსწონდათ, რომ აშშ ისრაელს ამარაგებდა შეიარაღებით – ტანკებით, არტილერიით, ამუნიციით. ნავთობის ემბარგოში აშშ-ს გარდა, მისი პარტნიორი ქვეყნები მოხვდნენ, დასავლეთ ევროპიდან.

ემბარგომ ნავთობის ფასების მკვეთრი ზრდა გამოიწვია და აშშ-ში ბენზინთან და სხვა საწვავებთან დაკავშირებით პრობლემები დაიწყო. ემბარგო 1974 წელს მოიხსნა. 1975 წელს კი აშშ-მ დააწესა ემბარგო ნავთობის ექსპორტზე. ქვეყანაში ნავთობის სტრატეგიული მარაგი შეიქმნა.

აშშ-ს კონგრესში 16 დეკემბერს, 2016 წლის ბიუჯეტზე შეთანხმდნენ, რომლის ფარგლებშიც, აშშ-მ შესაძლოა, 40-წლიანი ემბარგო მოხსნას ნავთობის ექსპორტზე. ნავთობის ემბარგოს მოხსნას აშშ-ს „რესპუბლიკური პარტია“ ითხოვს. სწორედ „რესპუბლიკელების“ დაპირისპირებამ დემოკრატებთან გამოიწვია ბიუჯეტის მიღების შეყოვნება. ემბარგოს მოხსნის წინააღმდეგია აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამაც.

„რესპუბლიკელების“ თქმით, ნავთობის ექსპორტზე ემბარგო, არაბეთის მიერ დაწესებული ემბარგოსდროინდელი არქაიზმია. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, დაადებს თუ არა აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა კანონპროექტს ვეტოს. თეთრ სახლში ამაზე კომენტარს არ აკეთებენ.

გასულ დღეებში ნავთობის ფასები 2008 წლის მაჩვენებლებზე ჩამოვიდა. Brent-ის ტიპის საწვავი საშუალოდ 37 დოლარის ფარგლებში იყიდება. რუსეთის ცენტრალური ბანკის „შოკური სცენარის“ მიხედვით, ნავთობის ფასი 35 დოლარი იქნება.

რუსული **Третий Рим**-ის კომპანიების ჯგუფის თანათავმჯდომარის ანდრეი მოვჩანის აზრით, ემბარგოს შესაძლო მოხსნა მნიშვნელოვან გავლენას ფასებზე ვერ მოახდენს, რადგან არ შეიცვლება ნავთობის მოპოვების მსოფლიო მაჩვენებელი.

„ამან შეიძლება შეცვალოს ევროპულ და ამერიკულ ნავთობებს შორის ფასების სხვაობა. ახლა სხვაობა დაახლოებით 3-4%-ია. ამერიკელები ბაზარს საკუთარ, უფრო იაფ ნავთობს შესთავაზებენ, რომელიც ნავთობსაცავებშია. ამერიკელები ახლა ენერგოიმპორტიორები არიან. მათ მაინც შეაქვთ გარკვეული რაოდენობის ნავთობი. ეს არ არის სიტუაცია, როდესაც აწარმოებენ იმაზე მეტს, ვიდრე მოიხმარენ“, – აცხადებს მოვჩანი. (news.ge)



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

ალეკო ელისაშვილისა და „ქართული ოცნების“ დაპირისპირებაში მთავარმა პროკურატურამ სამარცხვინო როლი უკვე ითამაშა. ელისაშვილმა წელიწად-ნახევრის წინათ ჩააყენა მთავარი პროკურორი ბადაშვილი – საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ჩემზე ზეწოლას ახდენენო, მესიჯების ადრესატებიც დაუსახელა და ეს საქმე გამოიძიეთო. თქვენც არ მომიკვდეთ, წელიწადნახევარი სულ ფეხებზე ეკიდა ბადაშვილსაც და მის პროკურატურასაც ეს საქმე. მოკლედ, „ქართული ოცნების“ კლანჭებქვეშ მოქცეულმა გიორგი ბადაშვილმა საქმეც კი არ აღძრა და გამოძიებაც არ დაიწყო, რადგან ამ საქმეში, სავარაუდოდ, იმ დონის ხალხია გარეული ხელისუფლებიდან, ბადაშვილი უპატრონოდ ხმას რომ ვერ გასცემდა. სავარაუდოდ, ფიქრობდნენ, რომ დრო გავიდოდა და ელისაშვილი

# ეს ისედაც რეიტინგდაქცეულ „ქართულ ოცნებას“ საბოლოოდ უტირებს დედას და ღირსიც იქნება



ხელს ჩაიქნევდა, მაგრამ მოტყუვდნენ – ალეკო ელისაშვილმა ეს საქმე წელიწად-ნახევრის შემდეგ ისევ წამოწია და აცხადებს, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანს

ბადაშვილი წავიდა და ირაკლი შოთაძე დაინიშნა. ეს ის ირაკლი შოთაძეა, რომლის დანიშვნასაც საპარლამენტო უმრავლესობა დიდი აღტყინებით შეხვდა – ძალიან მაგარი მთავარი პროკურორი იქნებაო. ოპოზიცია კი ჯერ კიდევ მის დანიშვნამდე აცხადებდა, ირაკლი შოთაძე „ქართულ ოცნებას“ იმისთვის სჭირდება, თავიანთი ლიდერ-წევრების ჩაოხრებული საქმეები რომ ჩააფარცხვინოსო. შოთაძისთვის ე.წ. შეწყალების კომისიის სკანდალი პირველი სერიოზული საქმეა და ამ საქმის გამოძიებით შოთაძე ან იმას დაამტკიცებს, რომ მართლა მიუკერძოებელი, პირუთვნელი პროკურორია, ან დაადასტურებს, რომ ბადაშვილივით სათამაშოა „ქართული ოცნების“ ხელში. ჯერჯერობით, საქმე იქითკენ მიდის, რომ შოთაძე სწორედ „ქართული ოცნების“ სათამაშოს შთაბეჭდილებას ტოვებს და იმაზე რთულად სამართავი არ უნდა იყოს, ვიდრე მისი წინამორბედები იყვნენ.

გამოძიების დაწყებიდან ერთი კვირის თავზე, საქმის გამომძიებელმა გიორგი მუჯირმა ალეკო ელისაშვილს დაურეკა და სთხოვა, ტელევიზიით რომ შენი ტელეფონის ნომრის „მაგთიდან“ ამონაწერები აჩვენე, ეს ამონაწერები მოგვიტანეო.

მიიტანა, ახლა მეტი რაღა ქნას?

აქედანაც ჩანს, რომ მთავარი პროკურატურა თავს არ იწუხებს ამ საქმის გამოძიებით და საფუძვლიანი ეჭვია, რომ საქმე ხელახლა ჩაფარცხოს, გაბედავს, გამოიძიებს და ირაკლი შოთაძეს „ქართული ოცნება“ გადაიყოლებს. შარს მოუდებენ და იმპიჩმენტს მოუწყობენ – მთავარ პროკურორად დანიშვნაც მათ ხელში იყო და მოხსნაც მათ ხელშია. მთავარი პროკურორის იმპიჩმენტის დასაწყებად პარლამენტართა 1-3, ანუ 50 დეპუტატი საკმარისია, ხოლო იმპიჩმენტის ბოლომდე მისაყვანად, ანუ მთავარი პროკურორის გადასაყენებლად, 76 დეპუტატია საჭირო. ამ რაოდენობის დეპუტატთა მობილიზაცია კი ჯერ არ გასჭირვებია „ქართულ ოცნებას“. ლოგიკუტად, ეს უნდა იყოს პროკურატურის უმოქმედობისა თუ აბსურდული ქმედებების მიზეზი.

მთავარი პროკურატურის უმოქმედობა ერთია და მეორე უბედურება საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წევრის სრულიად უადგილო და შეუფერებელი განცხადებებია. ერთ-ერთი მათგანის ავტორი თამაზ მეჭიაურია: „ელისაშვილი შემჩნეულია ხშირად ცილისწამებებში და ამას მისი ცხვირის ზომაც ადასტურებს, თანდათან ეზრდება. იმდენ ტყუილს ამბობს. იმხელა თანხაზეა საუბარი, ბინ ლადენი თუ ყავდათ გასაშვები, თუ არა, აბა, ამდენ ფულს ვისში იხდიდნენ?“ („ამდენ ფულში“ ის 200 000 დოლარი იგულისხმება, რომელიც, ალეკო ელისაშვილის განცხადებით, წინასწარ, „ბე“-დ ჰქონდათ აღებული საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებს კონკრეტული პატიმრების შეწყალებისთვის). ამას აცხადებს ბიძინა ივანიშვილის მეგობრობით პარლამენტში მოხვედრილი მეჭიაური, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, მაგრამ ელისაშვილის ცილისწამების ერთი მაგალითი არ მოჰყავს. კარგი. ელისაშვილი ცილისმწამებელია, მაგრამ პრეზიდენტის მრჩეველმა კახა კოჟორიძემ ხომ დაადასტურა, რომ პრეზიდენტს ის მესიჯები ნამდვილად ჰქონდა წაკითხული? იქნებ მართლა ძალიან სერიოზულ დანაშაულთან გვაქვს საქმე და გამოძიების დასრულებამდე რატომ აკეთებთ ისეთ განცხადებებს, თითქოს ფრთაშესხმული ანგელოზების საკრებულო იყოს ბიძინა ივანიშვილის შეკოწიწებული „ქართული ოცნება“. რა იცის მეჭიაურმა, რომ რასაც ელისაშვილი ამბობს ცილისწამებაა? არა, მეჭიაური და უმრავლესობის სხვა წევრები სავარაუდო დამნაშავე თანაგუნდელებს ეფარებიან და სხვა გზა არც აქვთ – თუ დადასტურდა, რომ კონკრეტული დეპუტატები პატიმრების შეწყალებისთვის ფულს ითხოვდნენ, ეს ისედაც რეიტინგდაქცეულ „ქართულ ოცნებას“ საბოლოოდ უტირებს დედას და ღირსიც იქნება.

„ალია“ შეეცადა, თავად თამაზ მეჭიაურს გაეკეთებინა კომენტარი მისავე უპასუხისმგებლო განცხადებაზე. დავურეკე და ვუთხარი, რომ ალეკო ელისაშვილთან დაკავშირებით გაკეთებულ მის განცხადებასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა მქონდა, მაინტერესებდა რის საფუძველზე თქვა, რომ ელისაშვილი იტყუება? მითხრა, 10-15 წუთში დამირეკეო. შეთანხმებულ დროს დავურეკე, მაგრამ ტელეფონი გათიშული ჰქონდა. მოგვიანებით ტელეფონი კი ჩართო, დავურეკე რამდენჯერმე, მაგრამ ჩემს სატელეფონო ზარებს აღარ უპასუხა. ახლა სხვა რა უნდა ვიფიქრო, იმის გარდა, რომ ჩემს უხერხულ კითხვებს გაექცა დეპუტატი?

მოკლედ, „ქართული ოცნება“ გულმოდგინედ ცდილობს, ეს სკანდალი ჩაფარცხოს, მით უფრო, ეს საქმე რომ გაიქექა, უფრო და უფრო ცუდი სუნი აუშვა და საბოლოოდ, ხელისუფლებიდან კიდევ ვისი გვარსახელები ამოვარდება, ჯერ კაცმა არ იცის. ახლა ირკვევა, რომ, სავარაუდოდ, არა მხოლოდ პატიმართა შეწყალებისთვის, პოლიტპატიმართა სიაში ჩასასმელად და პატიმართა ციხიდან ამ გზით თავის დასაღწევადაც აკეთებდნენ მავანნი ფულს. თუ ასეა, „ქართული ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს ქაქი კიდევ უფრო არ გაიქექოს, უფრო მყრალი სუნი არ აუშვას და ახალ-ახალი სკანდალური ფაქტები არ ამოტივტივდეს.

P.S. გვიან ღამით შვიდსაათიანი დაკითხვიდან გამოსულმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა: „გამოძიებას ვურჩიე, რომ ამ მესიჯების შინაარსი აუცილებლად გამოჩნდება, მაგრამ სჯობს მათ გამოაჩინონ, რათა სახე შეინარჩუნონ. მე კანონს პატივს ვცემ და ფეხდაფეხ მივყვები გამოძიებას. სჯობს პროკურატურამ გამოაჩინოს ეს-ემ-ეს-ების შინაარსი... თუკი ექსპერტიზის ბიურო არ აღადგენს ტელეფონში არსებულ ეს-ემ-ეს-ებს, მივმართავ საერთაშორისო ბიუროს“.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „დადებითი შეფასების მოლოდინი მაქვს“



პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს შეფასებით, ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით, ევროკომისიის მიერ გაკეთებული საბოლოო დასკვნა, სავარაუდოდ, დადებითი იქნება. მისი თქმით, ქვეყანამ ის ვალდებულებები, რაც აღებული ჰქონდა, შეასრულა.

„ფრთხილი ოპტიმიზმის რეალური საფუძველი არსებობს, ამიტომ დადებითი შეფასების მოლოდინი მაქვს. მით უმეტეს, რომ ეს ეტაპი მხოლოდ ტექნიკურ საკითხებს ეხება. ჩვენ ყველა ის დავალება, რისი ვალდებულებაც გვქონდა, გადაჭარბებით შევასრულეთ. მეორე ეტაპი, რომელიც უფრო პოლიტიკური ეტაპია, შედარებით რთულია, ამიტომ წინასწარ არ უნდა ავჟიტირდეთ“, – განაცხადა ცინცაძემ.

შეგახსენებთ, რომ 15 დეკემბერს საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, ევროკომისიის დასკვნა უნდა გამოქვეყნებულიყო.

როგორც საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა, ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა, ევროკავშირი ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა დასკვნა დეკემბრის ბოლომდე გამოქვეყნდეს. გუშინ კი ოფიციალურად დადასტურდა, რომ ევროკომისიის დასკვნა 18 დეკემბერს გამოქვეყნდება. (pia.ge)

## მორგში ნარკოტიკებს აწარმოებდნენ



რუსეთში, ხაბაროვსკის მხარის ერთ-ერთ მორგში პოლიციამ და უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა ნარკოტიკების წარმოების საიდუმლო ლაბორატორია აღმოაჩინეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ექიმმა-ანესთეზიოლოგმა და მისმა ნაცნობმა - ერთ-ერთი ადგილობრივი ინსტიტუტის სტუდენტმა, ნარკოტიკების წარმოების ლაბორატორია გახსნეს.

„მათ ორგანულ ქიმიაში შესაბამისი ცოდნა ჰქონდათ. ასე რომ, შეისყიდეს ყველა აუცილებელი ხელსაწყო, რეაგენტები და ნარკოტიკების შემცველი ნივთიერებების სინთეზის მექანიზმები“, - განაცხადეს რუსეთის შსს-ში.

ამ დანაშაულებრივი დაჯგუფების კიდევ ერთი მონაწილე ადგილობრივი მორგის სანიტარი იყო. მან მორგის სავენტილაციო ოთახი ამ დანაშაულებრივი ბიზნესისთვის მოაწყო. სამივე პირი დაკავებულია. (kvira.ge)

## ექვსი ბავშვის მკვლელის სასამართლო პროცესი დაიწყო

რუსეთის ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდში ოლეგ ბელოვის სასამართლო პროცესი დაიწყო, რომელიც ცოლის და ექვსი შვილის მკვლელობაშია ბრალდებული.

„ვესტი.რუ“-ს ინფორმაციით, ბელოვი სასამართლოს მის განთავისუფლებას სთხოვდა, მაგრამ სასამართლო ორგანოებმა მანიაკის ეს თხოვნა არ გაითვალისწინა. ამ ინფორმაციის მიხედვით, ბელოვი „ცხარე ცრემლებით ტირის და სიდედრს ბოდიშს უხდის“, თუმცა სიდედრი ბრალდების მთავარი მოწმეა და ამას „თამაშს“ უწოდებს.

სიდედრი ყვება, რომ ბელოვი მას, ასევე მეუღლესა და ბავშვებს ხშირად სცემდა და დალუპვას სასწაულებრივად გადაურჩა. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ბელოვი ნაწილობრივ შეურაცხადია, ის შიზოფრენიით არის დაავადებული. ამიტომ ის შეიძლება დამნაშავედ ცნონ და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯონ. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ზაქარეიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვენ




დღეს 13:00 საათზე „აფხაზთა კრების" ორგანიზაციებით საქართველოს პროკურატურასთან (გორგასლის 24) „აფხაზთა კრება" სახელმწიფო მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს.

„აფხაზთა კრების ორგანიზაციები ვითხოვთ სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისაკენ მიმართული ქმედებებისა და რუსეთისათვის მტრულ საქმიანობაში ხელშეწყობის გამო. საქართველოს პროკურატურას გადაეცემა შესაბამისი დასაბუთებული განცხადება ამ მოთხოვნით". – აცხადებენ ორგანიზატორები.

## „ჯანდაცვის სამინისტრომ 30,000 პენსიონერს საარსებო შემწეობა მოუხსნა"



„ნაციონალური მოძრაობის" სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივან ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, ჯანდაცვის სამინისტრო მარტოხელა პენსიონერებისთვის სოციალური შემწეობის მოხსნას აგრძელებს.

„2015 წლის ივლისში „ნაციონალურმა" მოძრაობამ საზოგადოების ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ 2013 წლის იანვრიდან საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა 506 245-დან 377971 მოქალაქემდე შემცირდა. 2013 წლის იანვრიდან 2015 წლის ივნისის ჩათვლით ჯანდაცვის სამინისტრომ საარსებო შემწეობა მოუხსნა 30 000 პენსიონერს, რომელთაგან ნახევარზე მეტი მარტოხელაა და უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს.

დავით სერგეენკოს საჯარო შეპირების მიუხედავად, სიღარიბეში მცხოვრებ პენსიონერთათვის სოციალური შემწეობის მოხსნის პროცესი არც ივლისის შემდეგ გაჩერებულა. სოციალური შემწეობის მიმღები 60 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობა კიდევ 6,000-მდე ადამიანით შემცირდა. ამდენითვეა შემცირებული იმ ოჯახთა რაოდენობა, სადაც 1 ან 2 წევრია, რაც ადასტურებს, რომ სერგეენკოს მიერ შემორებული მეთოდოლოგიის სამიზნე ისევ და ისევ მარტოხელა მოხუცები არიან.

სოციალური შემწეობის მიმღები მოსახლეობის ხარჯზე ივანიშვილის მთავრობამ 2015 წლის იანვრიდან დღემდე 15 მლნ ლარი დაზოგა, რაც ზღვაში წვეთია ჩინოვნიკების მიერ აღებული პრემიებისა და დანამატების ფონზე.

თანაც ეს ხდება მაშინ, როდესაც ივანიშვილის მთავრობის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გამო სულ უფრო მეტი და მეტი ოჯახი ვარდება უკიდურეს სიღარიბეში, როდესაც გაძვირებულია სურსათი და წამალი ანუ პენსიონერების ძირითადი მოხმარების პროდუქტი.

აუცილებელია, რომ საარსებო შემწეობა აღუდგეს სოციალურად დაუცველ ყველა ოჯახს, რომელიც დავით სერგეენკოს არასწორი პოლიტიკის გამო უსახსროდ დარჩა". – განაცხადა ჭიაბერაშვილმა. (ნიუპოსტი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



ერგნეთში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის შემდეგ ოსური დელეგაციის ხელმძღვანელმა დავით სანაკოევმა განუცხადა: „პანკისის ხეობაში ხდება მეომრების კონცენტრაცია, რომლებიც სირიაში, აკრძალული ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს" რიგებში აქტიურად იბრძოდნენ. ახლა ისინი საქართველოში იკრიბებიან და პროვოკაციებს ამზადებენ სამხრეთ ოსეთის მიმართულებით საზღვრის მონაკვეთზე. მათი თავდასხმის ობიექტები შეიძლება გახდნენ რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მესაზღვრეები, ასევე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ან, სულაც, საქართველოს პატრულის წარმომადგენლები. მათ, ასევე, შესაძლოა, გაიტაცონ მშვიდობიანი მოქალაქეები ან ცეცხლი გაუხსნან მათ... ჩვენი ინფორმაციით, ეს მოახლოებული საახალწლო და საშობაო დღესასწაულებისთვის მზადდება".

# რისთვის გააკეთა სეპარატისტმა სანაკოევმა განცხადება, რომ „ისლამური სახელმწიფო" საქართველოში ტერაქტებს მოაწყობს?



სანაკოევის განცხადების საპასუხოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკური სამსახურის უფროსი ირაკლი ბერაია აცხადებს, რომ ქართველი სამართალდამცველები პანკისში ვითარებას აკონტროლებენ და სანაკოევის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

**რა ხდება რეალურად და არის თუ არა საფრთხეები მოსალოდნელი?**

**„ალიას" უსაფრთხოების ექსპერტი ვახტანგ მაისაია ესაუბრა:**

– თუ გავითვალისწინებთ, რომ ამას აცხადებს სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენელი, როგორც ჩანს, ის ეყრდნობა რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურს, ამიტომ გასაგებია, სიო საიდან ქრის. მე მინდა გითხრათ ამ განცხადებების წინაპირობა: რუსეთმა რატომღაც უცებ დაიწყო ცხინვალის რეგიონში საკუთარი შეიარაღებული ძალების კომპონენტის, ანუ მეოთხე ბაზის გაძლიერება, შემოყვანილ იქნა ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექს „ისკანდერის" გარკვეული რაოდენობა, ეს ერთი. პლუს, გახშირდა საქართველოს საჰაერო სივრცის სისტემატური დარღვევა რუსეთის შვეულმფრენების მიერ. ამ ყველაფერს თუ ერთ ყულაბაში გავაერთიანებთ, გასაგები გახდება სავარაუდო მიზნები და ამოცანები.

**— და რა მიზანი აქვს ამ განცხადებას?**

– მარტივად რომ ვთქვათ, ამის უკან დგას ისეთი პროვოკაცია, რომელიც მოაწყვეს 2002 წელს. გახსოვთ, რუსულმა მხარემ დაიწყო პანკისის დაბომბვები, სადაც ორი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა. ამას მოჰყვა, ასევე, საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის სხვადასხვა ფორმების განხორციელება, რათა საქართველოს შეეჩერებინა ნატოსკენ. მაშინაც ყველანაირად იყენებდნენ იმავე რიტორიკას, რა რიტორიკაც თუნდაც დღევანდელი ცხინვალის რეგიონის არაღიარებული რეჟიმის წარმომადგენელმა გამოიყენა, ერთიერთში დაემთხვა. უბრალოდ, მაშინ იქ „ისლამური ხალიფატის" მაგივრად, ჩეჩენ სეპარატისტებს ასახელებდნენ, ასეთი კონტექსტი იყო მაშინ, მეტი არაფერი. ასეთი ტიპის პროვოკაციული ქმედებები რომ განხორციელდეს, სულ მცირე წინაპირობა და ნიადაგი ამისთვის მომზადებული უნდა იყოს. რომც არ იყოს, ჩვენ ვიცით, რა დონის პროვოკაციების განხორციელება შეუძლია რუსეთის სპეცსამსახურებს.

**— ანუ არ გამორიცხავთ იმის ალბათობას, რომ აქ მართლაც შეიძლება მოხდეს ის, რასაც სანაკოევი აცხადებს?**

– სამწუხაროდ, არაფერს გამოვრიცხავ, რადგან გეოპოლიტიკური სიტუაცია არის საკმაოდ მყიფე, სხვა საკითხია, რაც სანაკოევმა თქვა, ამას ვინ მოიმოქმედებს. ნებისმიერი პროვოკაცია შეიძლება განხორციელდეს, მით უმეტეს, ისეთი საშიში მეზობლის მხრიდან, როგორიც რუსეთი და მისი დღევანდელი ხელმძღვანელობაა. ფაქტობრივად, რუსეთს, რომელიც სირიის ტერიტორიაზე საომარ მოქმედებებს აწარმოებს, ბუნებრივია, სჭირდება, სამხრეთ კავკასია სამხედრო პოტენციალის ერთგვარი პლაცდარმი გახადოს და თავისი კომპონენტი გააძლიეროს, ამიტომ შეიძლება დაძაბულობა აწყობდეს ჩვენს ტერიტორიაზე. დიდი მადლობა „ალიას", რომ ამ თემას ყურადღება მიაქციეთ და ამაზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მომეცით.

სინამდვილე ის არის, რომ პანკისის ხეობა საკმაოდ მცირე, ჩაკეტილი რეგიონია, იქ ყველაფერი ხელის გულზე ჩანს და თვით პანკისელებშიც ძალიან დიდ გაკვირვებას და მე ვიტყოდი, შეწუხებას იწვევს ასეთი ტიპის განცხადებები. სანაკოევის განცხადების უკან ძალიან საშიში გეოპოლიტიკური კონტექსტი დევს და ამას შესაბამისმა სტრუქტურებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## მარგველაშვილი ხელს აწერს მოწმეთა დაკითხვის წესის 20 თებერვლამდე გადავადებას



საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩხილაძემ განაცხადა, რომ გიორგი მარგველაშვილი ხელს აწერს მოწმეთა დაკითხვის წესის გადავადებას 20 თებერვლამდე, რაც ტექნიკური მიზეზებითაა განპირობებული.

„საქართველოს პრეზიდენტი ყურადღებით აკვირდებოდა და მომავალშიც დააკვირდება პარლამენტში მოწმეთა დაკითხვის წესთან დაკავშირებით მიმდინარე მსჯელობას და მისი პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ ძალიან მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით სწორედ მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც პარლამენტი მოწმეთა დაკითხვის ახალ წესზე რეგულაციებს მიიღებს" – აღნიშნა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა.

„მიმდინარე წლის 31 დეკემბერს უნდა ამოქმედდეს 2009 წელს მიღებული სისხლის სამართლის ახალი კოდექსით გათვალისწინებული მოწმის დაკითხვის ახალი წესი, თუმცა საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და წარუდგინა ეს ცვლილებები საქართველოს პრეზიდენტს, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტმა ნაცვლად 31 დეკემბრისა მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების თარიღად 2016 წლის 20 თებერვალი განსაზღვრა. ამგვარი გადავადების მიზეზად როგორც განმარტებით ბარათშია აღნიშნული, სახელდებოდა სასამართლო რესურსების გაზრდის აუცილებლობა და ასევე გარკვეული საბიუჯეტო რესურსების მოძიების აუცილებლობა. მაშინ, როცა ამ ნორმის, ანუ მოწმეთა დაკითხვის ახალი წესით ბოლო გადავადებიდან თითქმის 2 წელია გასული, რატომ არ მოხდა იმ საჭირო მატერიალური თუ სამართლებრივი რესურსების მოძიება და გათვლა წინასწარ? პრეზიდენტი ხელს აწერს 20 თებერვლამდე ტექნიკური მიზეზებით მოწმეთა დაკითხვის წესის გადავადებას". – აღნიშნა კვერენჩხილაძემ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საშიში პიროტექნიკა, რომლის გაყიდვაც კანონით არ რეგულირდება

ახალ წლამდე ორი კვირით ადრე კიდევ უფრო მომრავლდა ის ადგილები, სადაც სახალწლო პიროტექნიკა იყიდება. სავაჭრო დახლებზე სხვადასხვა სახეობის ე.წ ასაფეთქებელ სათამაშოებს აქტიურად ყიდულობენ. პიროტექნიკის ფასები 10 თეთრიდან იწყება და 70 ლარამდე მერყეობს. ხშირად თანხას ე.წ „ბომბოჩკებში" 7-იდან 15 წლამდე მოზარდები იხდიან.

აღსანიშნავია, რომ გასაყიდად გამოტანილ ასაფეთქებელ ნივთიერებებს ინსტურქცია ქართულ ენაზე არ მოჰყვება და მისი შეძენა ხშირ შეთხვევაში უსიამოვნო შედეგით სრულდება. მარტო 2014 წლის 31 დეკემბრის ღამეს საახალწლო პიროტექნიკით დაზიანების 582 შემთხვევა დაფიქსირდა, დაშავებულთაგან უმრავლესობა არასრულწლოვანი იყო. ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ პიროტექნიკის გაყიდვის რეგულაციის არარსებობის გამო, სახიფათო სათამაშოები აქტიურად იყიდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

აქიდან გამომდინარე, სხვადასხვა სკოლების მასწავლებლები და მშობლები აქტიურად უერთდებიან მოქალაქეთა ჯგუფს, რომლებიც ე.წ სათამაშო ასაფეთქებლების აკრძალვას ითხოვს. მოქალაქეები საქართველოს პარლამენტს, მთავრობასა და პრეზიდენტს შესაბამისი რეზოლუციის მიღების მოთხოვნით მიმართავენ. ხელმომწერები ითხოვენ, რომ ასაფეთქებელი საშუალებები, უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენონ მხოლოდ ახალი წლის ღამეს. სხვა შემთხვევაში, ჩაითვალოს საზოგადოებრივი წესრიგის, მშვიდობიანი მოქალაქეებისთვის სიმშვიდისა და მათი უფლებების დარღვევად. ამ დროისთვის პეტიციას 5600-ზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი, მთლიანობაში კი 10 000 ხელმოწერაა საჭირო.

როგორც იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში განაცხადეს, ბავშვს რომ ე.წ „ხლაპუშკა" ჩაეღეჭა შემთხვევა შესაძლოა ფატალურად დასრულებულიყო.

უნდა აიკრძალოს თუ არა საახალწლო პიროტექნიკის გაყიდვა მოზარდებზე?

დეპუტატ ელისო ჩაფიძის განცხადებით, გარკვეული რეგულაციები ამ კუთხით უნდა არსებობდეს: „ჩვენ ვიმსჯელებთ, რომ მოსახლეობის და მითუმეტეს ბავშვთა უსაფრთხოება დაცული იყოს. გვესმის, როცა საქმე გვაქვს სერიოზულ ასაფეთქებლებთან, მათი პატარების ხელში აღმოჩენა დაუშვებელია, ამ კუთხით გარკვეული რეგულაციები უნდა არსებობდეს". – აღნიშნა დეპუტატმა.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის" წარმნომადგენელი ამირან შენგელია მიიჩნევს, რომ პიროტექნიკის გაყიდვა არასრულწლოვანებზე არ უნდა ხდებოდეს: „პიროტექნიკაზე უნდა იყოს ქართული წარწრა, სადაც აღნიშნული უნდა იყოს მისი შენახვის ვადები, გამოყენების წესები, უსფრთხოების წესების დაცვაზე კი ის ფირმაა პასუხისმგებელი, რომელმაც პიროტექნიკა შემოიტანა". – ამბობს შენგელია.

პლასტიკური ქირურგიისა და დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელის, გუგა ქაშიბაძის თქმით: „„პიროტექნიკით დაზიანებულთა შორის 60% მოზარდია. შარშან ხიჩინაშვილის დამწვრობის ცენტრში 80 პაციენტი შემოვიდა, აქედან 20-ს სტაციონარული მკურნალობა დასჭირდა. 12- ს კი ქირურგიული ჩარევა. პიროტექნიკის გამოყენებისას უსაფრთხოების წესების დაცვა აუცილებელია, პრობლემას ქმნის ისიც, რომ ინსტრუქცია უმეტესად ჩინურ ენაზეა. ამიტომ ხშირად ფეიერვერკის ჰაერში გაშვების ნაცვლად, აივნიდან სახლში აგდებენ, ზოგსაც არასწორად უჭირავს და ხელში უფეთქდება. იყო შემთხვევა, როცა უკვე აფეთქებულ მაშხალას ბავშვმა ცნობისმოყვარეობის გამო ჩახედა, სწორედ ამ დროს ისევ აფეთქდა და თვალი დაუზიანა". – განაცხადა ქაშიბაძემ.

როგორც გაირკვა, საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს ნორმა, რომელიც სახიფათო სათამაშოების არასრულწლოვანისთვის მიყიდვას კრძალავს, მაშინ როცა აღნიშნული სათამაშოები არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე მთავრობის მიერ აკრძალული „ბუსუსებიანი პრეზერვატი".

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ლევან მამალაძე: მარგველაშვილი დღესაც იმყოფება სააკაშვილის და მისი გუნდის ზეგავლენის ქვეშ



ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის, ლევან მამალაძის განცხადებით, მარგველაშვილს კონსტიტუციური უფლება აქვს, პირადად მიიღოს გადაწყვეტილება შეწყალებასთან დაკავშირებით, თუმცა მან არც კი განიხილა ეს საკითხი.

„მოვამზადეთ უამრავი მასალა, სადაც დასაბუთებული იყო ჩემ მიმართ განხორციელებული პოლიტიკური დევნა და ეს პაკეტი გადაეცა მარგველაშვილს. წინასწარ ვიცოდით, რომ მარგველაშვილი იმყოფებოდა და დღესაც იმყოფება სააკაშვილის და მისი გუნდის ზეგავლენის ქვეშ და ჩვენმა მხარდამჭერებმა 1200-კაციანი მანიფესტაცია მოაწყვეს პრეზიდენტის მხარდასაჭერად, რომ მას კანონის და კონსტიტუციის შესაბამისად, გადაეწყვიტა ჩემი საკითხი.

შემდეგ მე მოვიპოვე მისი ტელეფონის ნომერი და დავურეკე, ვუთხარი: გიორგი, ლევანი ვარ, მამალაძე, მითხ-



არი, რა ხდება შეწყალებასთან დაკავშირებით-მეთქი. მან ოფიციალური დაიჭირა და მეუბნება — იცით რა, მე ვიხილავ მხოლოდ პატიმრების საკითხსო. კონსტიტუციაში არსად წერია, რომ პრეზიდენტი მხოლოდ პატიმრების საკითხს განიხილავს, არამედ წერია, რომ მსჯავრდებულის საკითხს განიხილავს. მარგველაშვილმა მითხრა, შენი საკითხი პოლიტიკურია და მე ამ პოლიტიკურ სიტუაციებში ვერ ჩავერთვებიო, რაზეც ვუპასუხე, თუ თვითონ ამბობ და აღიარებ, რომ პოლიტიკურია, რა გამოდის, შენ შეგიძლია, მკვლელი შეიწყალო და პოლიტიკური მოტივაციით დევნილი არ შეიწყალო-მეთქი?! ისიც დავუფიქსირე, რომ ჩემი მიზანია, ჩამოვიდე და ღია სასამართლო გავმართო. „არა, მე ამას ვერ ვიზამ, პოლიტიკური საკითხიაო“, — განმიცხადა. მე პირდაპირ ვუთხარი, რომ იგი სააკაშვილის ზეგავლენის ქვეშაა, რაზეც მიპასუხა: როგორც გინდათ, ისე ჩათვალეთ, მე ჩემი პირადი პოზიცია მაქვსო. საუბარი დავამთავრეთ იმით, რომ ვუთხარი, თავს კონსტიტუციაზე მაღლა აყენებ და მოვა დრო, ერთმანეთს გავუსწორებთ თვალს-მეთქი“, — განაცხადა მამალაძემ. (კვირა.გე)

---

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



## ვალერი გელბახიანი: „ივანიშვილს უთქვამს, ამათ ან თავი იმართლონ, ან არადა, მიიღებენ შესაბამის პასუხსო და არ არის გამორიცხული ვადაზე ადრე დატოვონ პარლამენტი“



**„საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე იმ ლიდერების სახე გაიშიფრება, ვინც დღეს ყინწვისის ანგელოზის სახით გველაპარაკება“**

გუშინდელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: სააკაშვილ-ავაკოვის ორი დღის წინანდელი დაპირისპირების შემდეგ, უკრაინის შს მინისტრმა ავაკოვმა სააკაშვილის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა გადაწყვიტა. ავაკოვი მას ბრალს სდებს კორუფციულ გარიგებაში და უკრაინული ქარხნების რუსი ოლიგარქებისთვის მიყიდვაში. გარდა ამისა, ამ ინციდენტის შემდეგ დაიწყო მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩაყვანილი მებრძოლების საქმიანობის მოკვლევა. უკრაინელი სამართალდამცავები დაინტერესდნენ იმ ბანდფორმირებებით, რომელიც სააკაშვილმა საქართველოდან ჩასული „ზონდერებისგან“ დააკომპლექტა. აქვთ ეჭვი, რომ ამ ფორმირებამ დაიწყო ბიზნესმენების გატაცება თანხების გამოძალვის სანაცვლოდ.

„ალიას“ **ვალერი გელბახიანი** ესაუბრა:

**— რას ფიქრობთ პუტინის განცხადებაზე, რომ სააკაშვილის ოდესაში გუბერნატორად დანიშვნა იყო უკრაინელი ხალხისთვის სახეში შეფურთხება, უკრაინის შს მინისტრთან, ფაქტობრივად, ღია ომი აქვს მიხეილ სააკაშვილს ავაკოვმა მისი სქმიანობის გამოძიება დაიწყო. რით დასრულდება სააკაშვილის ვოიაჟი უკრაინაში?**

– უკრაინაში ძალიან აიჭრა სიტუაცია, ერთმანეთთან არიან დაპირისპირებულები – პრეზიდენტი, პრემიერი, შეიცვალა განწყობები საკანონმდებლო ორგანოში, მოსალოდნელია ძალიან სერიოზული ცვლილებები შიდა პოლიტიკაში. პრაქტიკულად, პოროშენკომ ავაკოვის მოქმედება დაგმო და არა სააკაშვილის. მე ვფიქრობ, უკრაინაში ვადამდელი არჩევნები გახდება საჭირო. ნუ გამორიცხავთ, რომ სააკაშვილი უფრო მაღალ თანამდებობაზე იხილონ უკრაინელებმა, ვიდრე ციხეში. მე მგონია, პროცესები სააკაშვილის სასარგებლოდ განვითარდება. ეს ქვეტექსტი იკითხება იმ განცხადებაში, რომელიც პოროშენკომ გააკეთა...

**— დაბოლოს, ამ კვირის მთავარი მოვლენა, მთავარი სკანდალი, ეს იყო ალეკო ელისაშვილის მხილებათა ციკლი, როგორ კეთდებოდა ფული პატიმრების თავისუფლების სანაცვლოდ მაღალი თანამდებობის პირების მიერ. როგორ ფიქრობთ, ვინ აღმოჩნდება გისოსებს მიღმა?**

– მე მგონია, გისოსებს მიღმა ამ საქმის გამო არავინ აღმოჩნდება და ამას სამართლებრივი ფინალი არ ექნება, მაგრამ თავად ელისაშვილის მიერ წამოწეულმა საკითხმა ისეთი აქტუალური განვითარება მიიღო, რომ საბოლოოდ გამოაშკარავდება ბევრი რამ, ნიღაბი ჩამოეხსნება იმ პირთა წრეს, ვინც დახურული ფარდის მიღმა ხელებს ცუდად აფათურებდა. საბოლოოდ გაირკვევა, ვინ როგორ იყენებდა კეთილდღეობას და ვინ რას წარმოადგენს ამ ქვეყნისთვის. გამჭვირვალობის პროცესი მიმდინარეობს, ეს არის ჯანსაღი პროცესები იმ თვალსაზრისით, რომ საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე იმ ლიდერების სახე გაიშიფრება, ვინც დღეს ყინწვისის ანგელოზის სახით გველაპარაკება. აი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, ეს ხალხი ველარ მოხვდება ვერც ერთი პოლიტიკური პარტიის სიაში, რადგან ასეთი დისკრედიტებული ადამიანები არავის სჭირდება.

როგორც გავიგე, ივანიშვილს უთქვამს, ამათ ან თავი იმართლონ, ან არადა, მიიღებენ შესაბამის პასუხსო და არ არის გამორიცხული ვადაზე ადრე დატოვონ პარლამენტი, განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ორი დეპუტატი – ეკა ბესელია და მანანა კობახიძე, რაც მეტი დრო გავა, მით მეტი მოწმეები გამოვლენ ავანსცენაზე. ჩვენ მოვისმინეთ ცოტნე ბაკურიას განცხადება იმის შესახებ, რომ ეკა ბესელიამ მას ფული მოსთხოვა კონკრეტულ ფონდში გადასარიცხად, თითქმის იგივე გაიმეორა ლევან მამალაძემ, უკვე ირკვევა, რომ ისინი, ვინც პოლიტდევნილები იყვნენ, ვერ მოხვდნენ სიაში, ხოლო სისხლის სამართლის დამნაშავეები და კრიმინალები, ვინც ფული გადაიხადეს, გაათავისუფლეს. ასე რომ, კობახიძე და ბესელია პარლამენტს დაემშვიდობებიან.

---

## რა დოკუმენტების გასაჯაროვებას აპირებენ პოლიტპატიმრები?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**„ალია“ წერდა, რომ პოლიტპატიმრები ბრძოლის ახალ ეტაპზე გადადიან და პარლამენტს მათი საქმეების გადახედვის მოთხოვნით მიმართეს.**

**რა მასალების გასაჯაროებას გეგმავენ ყოფილი პატიმრები და რა გეგმები აქვთ მათ?**

**„ალიას“ ყოფილი პოლიტპატიმარი, ტრისტან წითელაშვილი ესაუბრა:**

– შეწყალებული პატიმრების თაობაზე ყოველდღიურად კეთდება ახალ-ახალი განცხადებები. ახლა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადაწყვიტა, პოზიციები გაიმყაროს, ვითომ არაფერ შუაში არიან. ჩვენ გვაქვს მასალები, რომლითაც მტკიცდება და კარგად იკვეთება ჩვენი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრების ფაქტები. პოლიტიკური დევნის ნიშნები იკვეთება აქ და არა ქვეყნის ღალატის ნიშნები, რომელსაც ჩვენ გვწამებდნენ. მაშინ სააკაშვილის რეჟიმს დავუპირისპირდით, ვამხელდით სააკაშვილის რეჟიმს ამა თუ იმ დანაშაულში, ამ ყველაფერს წარვუდგენთ მასმედიას და ყველამ თვითონ განსაზღვროს, რეალურად რისთვის ვიყავით დაპატიმრებულები, ჩვენზე მოხდა პოლიტიკური შურისძიება.



**— ეგ ხომ ისედაც ცნობილია და რა დანიშნულებისთვის ასაჯაროებთ ამ მასალებს, ახალს რას ეუბნებით?**

– გავასაჯაროებთ ამ მასალებს და შემდეგ გადავცემთ მთავარ პროკურატურას. თითოეული პოლიტპატიმრის საქმე უნდა გადაიხედოს, ამას სახელმწიფო ბიუჯეტიდან არანაირი თანხები არ სჭირდება, პროკურატურაში კი ამ საკითხს სულ სამი პროკურორი ეყოფა. ბევრ საქმეს აქვს გრიფი დადებული, უნდა მოეხსნას ეს გრიფი და დაუყოვნებლივ დაიწყოს მათი გადახედვა და განხილვა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვას ყველა საკითხი ამნისტიების ირგვლივ, არც ერთი კითხვის ნიშანი არ უნდა დარჩეს. ყველა პოლიტპატიმარი ერთად ვართ, დაახლოებით 200-მდე ადამიანია, საუბარია პოლიტპატიმრებსა და პოლიტდევნილებზე. თუ ჩვენ ვერ დავინახავთ, რომ მსგავსი ძვრები არ არის, მაშინ დავიწყებთ ქუჩაში გამოსვლას. შეურაცხყოფილები ვართ იმ განცხადებების გამო, რომლებიც ჩვენი მისამართით კეთდება. შეურაცხყოფილები ვართ იმითი, რომ დღევანდელი ხელისუფლება ამ ყველაფერს იგნორირებას უკეთებს და ყურადღებას არ გვაქცევს. მოგვანიჭეს პოლიტპატიმრის სტატუსი და ამით დაამთავრეს ყველაფერი. ჩვენთვის არანაირი სამართლიანობა არ აღდგენილა იმიტომ, რომ ყველა პოლიტპატიმარი დღეს ქუჩაში ვართ, დაუსაქმებელი, არც სამსახურებში დაგვაბრუნეს, არც ქონებები დაგვიბრუნეს, მოვითხოვთ მოხდეს ჩვენი რეაბილიტაცია. ჩვენ თუ შევიკრიბებით, აღარ დავიშლებით, ჩვენ გაგვიმეტეს და ჩვენი სიცოცხლე სასწორზე დადეს. ჩვენ მარტო არ ვართ, ჩვენ ძალიან ბევრი ვართ. ჩვენ უკან ჩვენი ოჯახები დგას, ამ საქმეში ჩავრთავთ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებს, დიპლომატიურ კორპუსს, ყველა ბერკეტს გამოვიყენებთ.

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „უმრავლესობაში დაბალი დონის პოლიტიკანები, სამარცხვინო და მდარე პოლიტიკოსები საზოგადოებამ უნდა გაწიოს“



დაბალი დონის პოლიტიკანები უნდა გაიწიონ სასწრაფოდ – ეს განცხადება პუბლიცისტმა თაკო ჩარვიანმა ტელევიზია „იბერიას“ გადაცემა „პრიორიტეტში“ სტუმრობისას გააკეთა და აღნიშნა, რომ უმრავლესობა დროულად უნდა გათვისუფლდეს არაპროფესიონალებისგან. „სამი წლის თავზე თამასა არის ოდნავ დაწეული სახელმწიფო მართვის. ახლა არ არის პრანჭვის და კეკლუცობის დრო, იმიტომ, რომ მგონია ახლა თავზე გვეშლება სახელმწიფოი ინსტიტუტები. ვითმენ, მაგრამ ახლა ფაქიზად ლაპარაკის დრო არ არის. ვფიქრობ, რომ ცოტა დაბალი დონის პოლიტიკანები უნდა გაიწიონ სასწრაფოდ. უმრაველესობაში სამარცხვინო განცხადებას, მდარე პოლიტიკოსის დონის განცხადებას რომ გაიგებ, ის საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს, რომ გავწიოთ, იმიტომ რომ შეიქმნას მაღლი სახელმწიფო ინსტიტუტების მქონე ქვეყანა“, –განაცხადა ჩარკვიანმა.

თაკო ჩარკვიანი ზოგადად, საქართველოში პოლიტიკური კუთხით არსებულ ვითარებასაც აფასებს:

„არ არის რაღაცები დალაგებული. დავიღალეთ ძალიან და ვღელავთ სულ ყველა. მგონია, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს. ჩვენ ყველანი დიდი იმედით „ქართულ ოცნებას“ ვემხრობოდით, იმიტომ, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს. ბიძინა ივანიშვილმა დიდი საქმე გააკეთა, წინა ხელისუფლებას ხალხმა სისასტიკე არ აპატია, მაგრამ მას შემდეგ გავიდა სამი წელი და არ მიდის კარგად ყველაფერი. ვინც ამის დაფარვას დაიწყებს, ვფიქრობ, დათვურ სამსახურს ეწევა.. არ მომწონს სულ ხსენება, რომ ეს ხდებოდა, მინდა რომ შენიშვნები უფრო მიიღონ, ისე ხელისუფლება ვერ გაიზრდება და თუ თვლიან ისინი, რომ მათ არ სჭირდებათ გაზრდა, ძალიან ცდებიან. ჩანს რომ ხელისუფლება შენიშვნებს არ იღებს... მე მგონია, რომ საქმე გვაქვს სერიოზულ არაპროფესიონალებთან და მგონია, რომ ახლა თუ ესენი 20016 წლისთვის არ მოიყვანენ პროფესიონალურ გუნდს, ძალიან ცუდად დამთავრდება ეს ყველაფერი“, – განაცხადა თაკო ჩარკვიანმა (პირველი რადიო)

## შეხვედრა „შუშის სასახლეში“ — რა ხდება ქართულ რაგბში?

„პირველი რადიოს“ ინფორმაციით, რაგბის კავშირის მოქმედმა თავმჯდომარემ კავშირის თავმჯდომარეობის არჩევნებამდე კანდიდატურა რამდნიმე დღით ადრე ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ მოხსნა. ინფორმაციის თანახმად, გია ნიაჟრაძესა და ბიძინა ივანიშვილს შორის შეხვედრა „შუშის სასახლეში“ შედგა.

ინფორმირებული წყაროს განცხადებით, ნიჟრაძემ ივანიშვილს უთხრა, რომ ის არ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდა. ივანიშვილმა კი საპასუხოდ მას აღუთქვა, რომ არჩევნებზე უარს იტყოდა თავმჯდომარეობის მეორე კანდიდატი „ოცნების“ წევრი ირაკლი აბუსერიძე. აბუსერიძემ და ნიჟარაძემ კანდიდატურები ერთმანეთის მიყოლებით მოხსნეს. (პირველი რადიო)



1. ღია საზაფხულო კაბა
2. გამაცივებელი აირი მაცივარში
3. უკანონოდ მონადირე
4. მონღოლი დიდებული
5. ქალაქი ბასკეთში
6. სოფლის ტრანსპორტი
7. თოფის ხის დეტალი
8. ამერიკელების მეტსახელი
9. ქალაქი ქვემო ქართლში
10. ცისარტყელას ქალღმერთი
11. პორტუგალიის დედაქალაქი
12. მხატვარი ოგიუსტ ...
13. კაციჭამია
14. მსახიობი ... ბლუმი
15. მხ/ფ „მისის ...“
16. მახრჩობელა გველი ამაზონში
17. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
18. მომღერალი ... ბარძიმაშვილი
19. თავფეხიანი მოლუსკი
20. მსახიობი ... რივზი
21. აქილევსის ...
22. ტივი „...-ტიკი“
23. ყველაზე მსუბუქი ხე
24. თამბაქოს დახვეული ფოთლები
25. „... და ქილა ერბო“
26. „... დედინაცვალი“
27. რომის პაპის გვირგვინი
28. ავადმყოფური სიგამხდრე
29. მხ/ფ „იყო შაშვი ...“
30. სომნამბული
31. ... (კოკო) შანელი
32. ქრისტიანთა წმინდა თასი
33. ... მოგივა დავითაო
34. ნაჯახი
35. ...-დე-ჟანეირო
36. ... ცეტკინი
37. ანტიკური ქალაქი აფრიკაში
38. პრეზიდენტი ... ალიევი
39. სამშენებლო ფიცრები შენობაზე
40. ექვსფრთიანი ანგელოზი
41. ... დაიჭირავს სიკვდილსა
42. კუნძული ავსტრალიასთან
43. ქალის პირბადე აღმ. ქვეყნებში
44. რბილი ტყავი, ნატი
45. ვარსკვლავის წვეტი
46. კონკიას ფეხსაცმელი
47. მსახიობი ნუგზარ ...
48. მხარე დას. საქართ.
49. ფაშვის წვნიანი
50. ხაფანგი
51. ძვირფასი ლითონი
52. კენგურუს „აქსესუარი“
53. ზაზა (ზუმბა) ...
54. ... არაგვისპირელი
55. სხივი. ქრის ლითონს
56. მხ/ფ „ვერის უბნის ...“
57. ციტრუსი
58. სოფელი ხარაგაულის რაიონში
59. ცხენების ჯოგი
60. მსახიობი ... თურმანი
61. ყაიმი
62. მსახიობი მონიკა ...
63. უძრავი ქონების მესაკუთრ. ფორმა
64. რეჟისორი ჯონ ...
65. მსახიობი ... ლორი
66. გემოვნების ორგანო
67. „... ხარ ვენახი“
68. ... ძედუნი
69. ზამთრის თვე
70. მაროკოს დედაქალაქი
71. ხილი
72. ქართ. ანბანის ბოლო ასო
73. ექსპრეზიდენტი ... რეიგანი
74. იაპონური ფულის ერთეული
75. ალ. ტოლსტოის ფანტასტ. მოთხრობა
76. ქალაქი ბელგიაში
77. იგავი
78. „მე ვხედავ მზეს“ პერსონაჟი
79. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
80. გერმანული ავტომობილი
81. ქმრის და
82. მულტფილმი ყვითელი კაცუნებით
83. იუველირი, ანუ ...
84. რიდლი სკოტის ფილმი
85. მხ/ფ „მამაცი ...“
86. ოსური ცეკვა
87. ქალაქი აშშ-ში
88. მდინარე ციმბირში
89. ძაღლის ჯიში
90. მსახიობი ჟან ...
91. ქართ. ხილის წყლების წარმოების ფუძემდებელი ... ლაღიძე
92. სასვენი ნიშანი
93. თორმეტი ცალი, ანუ ...
94. მსახიობი ... შარიფი
95. მომღერალი ... რამაზოტი
96. ინტუიცია
97. ჯუჯა კამეჩი
98. „ნათლია“ დონ ვიტო ...
99. მუზების მფარველი ღმერთი
100. სიო ზღვის პირას
101. წლოვანება
102. გადაშენებული ფრინველი
103. მისი დედაქალაქია ლონდონი
104. უცნობი მიწა: ...-ინკოგნიტა
105. შვედური ფულის ერთეული
106. მსახიობი ... რიჩარდსონი
107. იტალიის დედაქალაქი
108. ხორთუმიანი ცხოველი
109. მდინარე ქუთაისში
110. გადამდნარი კარაქი
112. ლაზათი
113. ცხენირემი
114. იაპონური ჭადრაკი
114. საწვიმარი მოსასხამი
115. აღმოსავლური საჭმელი
116. თევზის ჯიში
117. რეჟისორი ... ფონ ტრიერი
118. ერთგვარი საკეტი
119. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
120. მსახიობი ... რუსო
121. მდინარე ორინოკოს ველი
122. სურდო
123. მდინარე დარიალის ხეობაში
124. ... კიხოტ ლამანჩელი
125. ღლავი
126. მსახიობი ოსვალდო ...
127. საბჭოთა პერიოდის შეფასება: ხუთიანი
128. ებრაული რიტუალ. ხმიადი
129. მსახიობი ... კალკინი
130. შენობა. იყიდება წამლები
131. გერმანიის დედაქალაქი
132. ქალაქი იმერეთში
133. მსახიობი ... ბესინჯერი
134. უბედურების სიგნალი
135. ნიავი
136. რეჟისორი გას ... სენტი
137. ჯუჯა ჟირაფი
138. ეკვადორის დედაქალაქი
139. კილოგრამის მეათასედი
140. შვედური საესტრადო ანსამბლი
141. ვიოლინოს წინამორბედი
142. იტალიელი კომპოზიტორი
143. ტყის სული წვეტიანი ყურებით
144. „... ჭკუისაგან“
145. თვითნასწავლი მხატვრობა
146. მეტამორფოზის ბოლო სტადია
147. საჭმელად ვარგისი სოკო

პასუხები: 1. სარაფანი; 2. ფრეონი; 3. ბრაკონიერი; 4. ნოინი; 5. ბილბაო; 6. ურემი; 7. კონდახი; 8. იანკი; 9. ბოლნისი; 10. ირიდა; 11. ლისაბონი; 12. რენუარი; 13. კანიბალი; 14. ორლანდო; 15. დაუტფაიერი; 16. ანაკონდა; 17. სირიუსი; 18. რობერტ; 19. ნაუტილუსი; 20. კიანუ; 21. ქუსლი; 22. კონ; 23. ბალსა; 24. სიგარა; 25. გლახაკი; 26. სამანიშვილის; 27. ტიარა; 28. ანორექსია; 29. მგალობელი; 30. მთვარეული; 31. გაბრიელა; 32. გრაალი; 33. რაც; 34. ცული; 35. რიო; 36. კლარა; 37. კართაგენი; 38. ილჰამ; 39. ხარაჩო; 40. სერაფიმი; 41. ვერ; 42. ტასმანია; 43. ჩადრი; 44. ზამში; 45. ქიმი; 46. ქოში; 47. შარია; 48. იმერეთი; 49. ხაში; 50. მახე; 51. ოქრო; 52. ჩანთა; 53. კორინთელი; 54. შიო; 55. ლაზერი; 56. მელოდიები; 57. ფორთოხალი; 58. მარელისი; 59. რემა; 60. უმა; 61. ფრე; 62. ბელუჩი; 63. გირაო; 64. ვუ; 65. ჰიუ; 66. ენა; 67. შენ; 68. მაო; 69. თებერვალი; 70. რაბატი; 71. გარგარი; 72. ჰაე; 73. რონალდ; 74. იენა; 75. „აელიტა“; 76. ლიეჟი; 77. არაკი; 78. ხატია; 79. აგრა; 80. „მერსედესი“; 81. მული; 82. „სიმფსონები“; 83. ოქრომჭედელი; 84. „გლადიატორი“; 85. გული; 86. „სიმდი“; 87. მილუოკი; 88. ირტიში; 89. სენბერნარი; 90. მარე; 91. მიტროფანე; 92. ტირე; 93. დუჟინი; 94. ომარ; 95. ეროს; 96. ალლო; 97. ანოა; 98. კორლეონე; 99. აპოლონი; 100. ბრიზი; 101. ასაკი; 102. მოა; 103. ინგლისი; 104. ტერა; 105. კრონი; 106. მირანდა; 107. რომი; 108. ტაპირი; 109. რიონი; 110. ერბო; 111. გო; 112. შნო; 113. ლოსი; 114. ლაბადა; 115. ქაბაბი; 116. ქორჭილა; 117. ლარს; 118. ბოქლომი; 119. სერ; 120. რენე; 121. ლიანოსი; 123. თერგი; 124. დონ; 125. ლოქო; 126. რიონი; 127. ფრიადი; 128. მაცა; 129. მაკოლეი; 130. აფთიაქი; 131. ბერლინი; 132. ხონი; 133. კიმ; 134. სოს; 135. სიო; 136. ვან; 137. ოკაპი; 138. კიტო; 139. გრამი; 140. „აბბა“; 141. ვიოლა; 142. დონიცეტი; 143. ელფი; 144. ვაი; 145. ნაივი; 146. იმაგო; 147. მიქლიო. იკითხეაბ: ფლაკონი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## ვალი რომ არ გადაეხადა, ოჯახმა თავი გარდაცვლილად გაასაღა



შეიძლება ღმერთის სასჯელს გაექცე, მაგრამ ბანკს ვერსად დაემალები. მისი მსახვრალი თვალი და ხელი ყველგან მისწვდება ადამიანს – რუსეთის ქალაქ ვორონეჟში მცხოვრებმა ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, ბანკში გადახდილი და წყლისთვის გატანებული ფული ერთი და იგივე იყო. ჰოდა, ადგნენ და თავი მკვდრებად გამოაცხადეს. გარდაცვალების ცნობა დოკუმენტის სახითაც კი გაავრცელეს.

ბანკი ერთი ხანობა კი დარჩა პირში ჩალაგამოვლებული. აბა, მიცვალებულებს რა პასუხს მოთხოვდნენ. თანაც ვალის გადამხდელი აღარავინ დარჩენია ოჯახს, გარდა არასრულწლოვანი შვილისა.

„მკვდარი წყვილიც" სხვა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად და განაგრძო ისეთი ტკბილი ცხოვრება, როგორიც ბანკთან საქმის დაჭერამდე ჰქონდა.

აფერისტ ცოლ-ქმარს სასჯელი ყველაზე მოულოდნელი, საკუთარი შვილის სახით მოევლინა. მეორე ბავშვის გაჩენისა და მისი რეგისტრაციის დროს გაირკვა, რომ ბავშვი გარდაცვლილ დედას გაუჩენია და გვარსაც გარდაცვლილი მამა აძლევდა. თურმე, ცოლ-ქმრის სახსენებელი არა მხოლოდ ვორონეჟის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით ყოფილა აღგვილი პირისგან მიწისა.

სიმართლე მალე გაირკვა. კაცმა დანაშაული აღიარა და ახლა სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## რატომ იწვევს „აიპადი" ბავშვებში ალერგიას?



რა არ შეიძლება დააბრალო თანამედროვე ტექნიკას, მაგრამ ალერგიასაც თუ იწვევდა, ვინ იფიქრებდა? არადა სან-დიეგოელ 11 წლის ბიჭს გამოცდილმა ექიმებმა ალერგიის მიზეზად სწორედ აი-პადი დაუსახელეს.

თურმე აი-პადი, როგორც სმარტფონის მობილური ტელეფონი, ნიკელის ნაწილაკებს შეიცავს, რაც ჯანმრთელობისთვის მაინცდამაინც სახარბიელო ვერ არის.

მართალია, სიცოცხლეს საფრთხეს არ უქმნის, მაგრამ ბავშვებსა და მოზარდებს დისკომფორტის განცდა ეუფლებათ და ექიმის გადაუდებელ დახმარებას საჭიროებს.

ეცადეთ, ბავშვები წიგნებითა და მულტფილმებით გაართოთ, არც დისკომფორტი ექნებათ და არც ჯანმრთელობის საფრთხე დაემუქრებათ.

*globalscience.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## წარმატების მიღწევა გსურთ? — წერეთ



წარმატების საიდუმლო ნებისმიერი მიღწევის დაფიქსირება ყოფილა.

ამერიკელი და ბრიტანელი მეცნიერები აცხადებენ, რომ, თუ გვინდა, წარმატებას მივაღწიოთ, ნებისმიერი უმნიშვნელო წინსვლაც კი უნდა დავაფიქსიროთ, უკეთეს შემთხვევაში ჩავიწეროთ.

ექსპერიმენტში 19 ათასი ადამიანი მონაწილეობდა და დამტკიცდა, რომ დღიური ადამიანს წარმატების მიღწევაში ეხმარება.

მეცნიერების თქმით, თუ ადამიანი ინტენსიურად აწარმოებს დღიურს და თავის პროგრესს ინიშნავს. თუნდაც ძალიან მოკრძალებულს, მაგალითად, რომ წონაში დაიკლო, რომ კარგად ვარჯიშობს, რომ უცხო ენას სწავლობს და ასე შემდეგ, აუცილებლად მიაღწევს უფრო მეტს.

ნებისმიერ საქმეში აუცილებელია აღნიშვნა, რომ წაკითხვის შემდეგ მეტი სტიმული გვქონდეს.

*myjaneru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## შიში ადამიანის ყნოსვაზე ზემოქმედებას ახდენს



ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ შიში სუნის აღქმაზე გავლენას ახდენს.

ექსპერიმენტში ათობით მოხალისე მონაწილეობდა. ისინი სპეციალურ აპარატზე იყვნენ შეერთებული, რომელიც მათი ტვინის ნებისმიერ ცვლილებაზე თვალყურის დევნების საშუალებას იძლეოდა. მონაწილეებს უნდა შეეფასებინათ სხვადასხვა სურნელი, სასიამოვნო, ნეიტრალური, უსიამოვნო, მძაფრი და ა.შ

აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებით შფოთვის მომგვრელი სურათების ნახვის დროს, როგორიცაა ომის, ან ავარიის ამსახველი კადრები, ყველა სუნს უარყოფითად აფასებდნენ.

„ასეთ შემთხვევაში, სუნმა შესაძლოა, ადამიანის ნერვულ სისტემაზე იქონიოს გავლენა. უკვე დამტკიცდა, რომ, თუ ადამიანი ყველგან მხოლოდ სასიამოვნო სუნს გრძნობს, ნაკლებად მღელვარე და მშფოთვარეა და სტრესის საფრთხეც ნაკლებად ემუქრება", – აღნიშნა კვლევის ავტორმა ვენ ლიმ.

*globalscience.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## როგორ აღიქვამენ ქალები და კაცები ღალატს



ამერიკელი და ნორვეგიელი მეცნიერები ღალატის ფენომენით დაინტერესდნენ. აღმოჩნდა, რომ ღალატის აღქმა სქესის შესაბამისია და ქალები და მამაკაცები სხვანაირად აღიქვამენ.

კაცებს რთულად გადააქვთ ფიზიკური ღალატი. ქალებს კი – ემოციური.

განსხვავებული აღქმის მიზეზი კაცების შემთხვევაში იმის შიშია, რომ ბავშვი მათი არ იქნება. ქალებს ეშინიათ, რომ მიატოვებენ, მათზე აღარ იზრუნებენ და ვინმე უფრო გულითად, ჭკვიანსა და საინტერესოში გაცვლიან.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## პოლიციამ ქალის შეურაცხყოფისთვის თუთიყუში დაიჭირა



დამნაშავე უნდა დაისაჯოს მიუხედავად სქესისა, რასისა, რელიგიისა და ფრინველობისა.

ინდოელმა პოლიციელებმა თუთიყუში 85 წლის ქალის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის დაიჭირეს.

თურმე ეს შეურაცხყოფილი ქალბატონი თავის ვაჟიშვილთან წაჩხუბებული ყოფილა. ვაჟმაც, გასწავლი როგორ უნდა შვილის წყენინებაო და თავის თუთიყუშს უწმაწური სიტყვები ასწავლა.

ფრიადოსანი თუთიყუშიც ქალბატონის მისამართით უშურველად აფრქვევდა პატრონისგან ბოძებულ ცოდნას.

მართალია, ბილწსიტყვა თუთიყუში დაიჭირეს, მაგრამ მამხილებელი საბუთების არარსებობის გამო მალევე გამოუშვეს.

პოლიციელები ჩუმად უთვალთვალებდნენ დამნაშავეს, მაგრამ თუთიყუში იმაზე კარგად გაწვრთნილი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ და პოლიციელების იქ ყოფნის განმავლობაში ხმა აღარ ამოუღია.

*myjane.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



ორი მამაკაცი სასტუმროში სვამს, უკვე ორივე გვარიანადაა შემთვრალი:

– გაიგე ის ამბავი, ახალი ხელისუფლებაც რომ გვისმენს? ალბათ, ამ შტეფსელში ახლა მიკროფონია ჩადგმული. მოდი, ვგლიჯოთ და ვინც გვისმენს, ყურები ეტკინება.

უცბად შტეფსელიდან ხმა ისმის:

– მანდ არ მომიყვანოთ, თორემ გგლიჯავთ მე თქვენ!!!

*****

ერთი ახალი რუსი მეორეს:

– წარმოგიდგენია, ჩემი შვილის სკოლის ჩანთა გავჩხრიკე და კოკაინი ვუპოვე. ის მამაძაღლი ჯერ 10 წლისაა და უკვე სახლიდან რაღაცების მოპარვა დაიწყო!..

*****



ქმარი ცოლს ურეკავს:

– ალო, ძვირფასო, რომელი უფრო გიყვარს: ბანანი თუ ატამი?

– უი, ბაზარში ხარ, საყვარელო?

– არა, კაცო, აფთიაქში!!!

*****

– ჩვენი გამორჩეული თავისებურება: მოიპარო ფული გზების დაგებისას, შეიძინო მოპარული ფულით უძვირფასესი ავტომობილი და დაამტვრიო ეს უძვირფასესი ავტომობილი ცუდ გზებზე!..

*****

შუაღამისას ცოლი ქმარს აღვიძებს:

– რა მოხდა? – შეშინებული წამოხტა ქმარი.

– არაფერი, – უპასუხა ცოლმა, – უბრალოდ, ვერაფრით გამიგია, როგორ შეგიძლია, ასეთი პატარა ხელფასის პატრონს ასე მშვიდად გეძინოს?!

*****

ცოლი ქმარს:

– ძვირფასო, რატომ მოგვივიდა ინტერნეტზე ასეთი დიდი გადასახადი?

– იმიტომ, რომ ვიღაცას ძალიან ხშირად სტკივა თავი!..

*****



ნარკომანი ურნაზე ზის, ეწევა. გამოიარა პოლიციელმა:

– აქ რას უზიხარ?!

– რა ვიცი, ვეწევი, რა...

– ეს ადგილი ნაგვისთვისაა!

– უი! დიდი ბოდიში! დაბრძანდით, გთხოვთ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*დავით ახობაძის ნახატი*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## 27-წლიანი შეცდომითი პატიმრობისგან განთავისუფლებული ინგლისელი მანქანამ გაიტანა



ერთ საცოდავ ინგლისელს, შონ ჰოდჯსონს, რომელიც სამართალდამცველებს, თურმე, შეცდომით დაუპატიმრებიათ და 27-წლიანი სასჯელიც მოუხდია, თავისუფლების პირველივე დღეები კლინიკაში გაუტარებია, რადგან ციხიდან გამოსულს ავტომობილი დასჯახებია.

საბედნიეროდ, მამაკაცი სერიოზულ დაზიანებებს გადაურჩა, თუმცა, ექიმების განმარტებით, მას რამდენიმედღიანი მკურნალობა მაინც აუცილებლად ესაჭიროება.

როგორც ირკვევა, შონ ჰოდჯსონი 1986 წელს დაუპატიმრებიათ და 22 წლის მიმტანის გაუპატიურება-მკვლელობაში უცნიათ დამნაშავედ. გავიდა ძალიან დიდი დრო და სასამართლო ექსპერტიზამ მხოლოდ ახლაღა დაადგინა, რომ მოკლულის სხეულში დარჩენილი სპერმა მას არ ეკუთვნოდა.ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შონ ჰოდჯსონი კომპენსაციის სახით 500 ათას ფუნტ სტერლინგს მიიღებს, მაგრამ, როგორც თავად ყოფილი პატიმარი ამბობს, ის აუცილებლად უჩივლებს სასამართლო ექსპერტიზას, რადგან, როგორც მისმა ადვოკატმა დაადგინა, ანალიზის პასუხების გახმაურება ჯერ კიდევ 1998 წელს შეიძლებოდა.

*etotupo.ru*

## კოლექციონერობამ შესაძლოა, ფსიქიკის პრობლემები გამოიწვიოს?



ერთი შეხედვით, კოლექციონერობაში უარყოფითი საერთოდ არაფერია და პირიქით, გვეგონა, ადამიანზე დადებით გავლენასაც ახდენდა, თუმცა ესპანელი სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ მარკების, ფაიფურის თოჯინების, სამკაულების ან ხელოვნების ნიმუშების გროვების ჩვევა შესაძლოა, ფსიქიკური აშლილობის მიზეზი გახდეს.

მათი თქმით, თავსმოხვეულ იდეას, რომ ადამიანმა კონკრეტული ნივთები აგროვოს, სავსებით შესაძლებელია, ძალიან სწრაფად ობსესურ-კომპულსიურ დარღვევაში გადაიზარდოს, ფსიქიკურ ანომალიაში, რომლითაც დღეის მდგომარეობით მსოფლიოს მოსახლეობის 12 პროცენტი იტანჯება.

იმ დრომდე, სანამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჰობი კონტროლს ექვემდებარება, იგი ადამიანს პოზიტიური ჩვევების გამომუშავებაში ეხმარება, მაგალითად, ხდის მიზანმიმართულს, მომთმენს და მეხსიერებასაც უვითარებს, მაგრამ საკმარისია, კოლექციონერობა კონტროლის საზღვრებს გასცდეს, ფსიქიკის შერყევაც არ აყოვნებს.

*ami-tass.ru*

## შვეიცარიელმა სპეციალისტებმა სიმაღლის შიშისგან გასათავისუფლებელი აბები შექმნეს



თუკი სიმაღლის შიში ერთხელ მაინც განგიცდიათ, ისიც კარგად გემახსოვრებათ, რამდენად უსიამოვნო შეგრძნებაა და როგორი რთულია მისი გადალახვა. თუმცაღა, თუკი შვეიცარიელების მიერ შექმნილი პრეპარატი მართლაც ისეთი ეფექტურია, როგორც თავად ამბობენ, ერთ-ერთ ყველაზე საშინელ ფობიას ყველა სამუდამოდ დაემშვიდობება.

შვეიცარიელი ფიზიოლოგების ორგანიზებით ჩატარებულ ექსპერიმენტებში 40 მოხალისე მონაწილეობდა, რომლებიც ვირტუალურ მაღალ შენობებსა და ხიდებზე დადიოდნენ, თუმცა შეგრძნებები ზუსტად ისეთივე ჰქონდათ, როგორც რეალურ ცხოვრებაში ხდება ხოლმე.

შედეგად დადგინდა, რომ სტრესულ მდგომარეობაში, რომელსაც სიმაღლის შიში იწვევდა, მოხალისეების ორგანიზმი დიდი რაოდენობით ჰორმონ კორტიზოლს გამოიმუშავებდა. პრეპარატიც აღნიშნულის გათვალისწინებით შეიქმნა – ის სწორედ კორტიზოლის გამოყოფას უშლის ხელს.

ვირტუალურ სიმაღლეზე ხელმეორედ გასვლის შემდეგ, იმავე მოხალისეებს, რომლებიც მანამდე შიშს ვერაფრით ერეოდნენ, პრობლემები მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც მოუგვარდათ.

შეგახსენებთ, რომ სიმაღლის შიშს აკროფობია ეწოდება და ის მშვენიერი სქესის – ოთხ, ხოლო ძლიერი სქესის 5 პროცენტს სტანჯავს.

ახლა შვეიცარიელ ფიზიოლოგებს ისღა დარჩენიათ, რომ მათი პრეპარატი მაკონტროლებელმა ორგანოებმა შეამოწმონ და გაყიდვებისთვის მწვანე შუქი აუნთონ.

*mndg.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**18 დეკემბერი:** თუ ზღაპრის რეალობად ქცევა გინდათ, იმოქმედეთ და დიდი ალბათობით, გამოგივათ. ოღონდ ბოროტებაზე არც კი იფიქროთ.

**კურო 22.04-21.05**
**18 დეკემბერი:** საქმეებში წარმატების მიღწევის შანსი გაქვთ. ეს სასიამოვნო იქნება, რამდენადაც შედეგი თქვენს ყველა მოლოდინს გადააჭარბებს.

**ტყუპები 22.05-21.06**
**18 დეკემბერი:** შეიძლება, სივრცე არ გეყოთ. ამიტომ სამოქმედო არეალის გაფართოებაზე იფიქრეთ და გულში არც გაივლოთ, რომ არაფერი გამოგივათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**18 დეკემბერი:** საკმაოდ წარმატებული დღე უნდა იყოს საქმეებთან მიმართებაში. ხელები დაიკაპიწეთ და იმოქმედეთ. დაამტკიცეთ, რომ საუკეთესო ხართ.

**ლომი 23.07-22.08**
**18 დეკემბერი:** თავის დროზე ბევრი გაეცით. დღეს შესაძლოა, ამის ნაწილი დაგიბრუნდეთ და ეს შეიძლება უჩვეულო ფორმით მოხდეს.

**ქალწული 23.08-22.09**
**18 დეკემბერი:** კარგი იქნება, თუკი თვითგანათლებით დაკავდებით. მით უმეტეს, ამის საბაბი მოგეცემათ. შეიძლება ამან რთული საქმისგანაც გაგათავისუფლოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**18 დეკემბერი:** თუ განმარტოვდებით, თავს ბევრად უკეთ იგრძნობთ, ვიდრე კოლექტივში. თუმცა გაგიჭირდებათ, მაგრამ ამისთვის ყველაფერი უნდა იღონოთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**18 დეკემბერი:** შეეცადეთ, დღეს სახლში არ გამოიკეტოთ. გაისეირნეთ და შეხვდებით ადამიანებს, რომელთაგანაც ბევრ საინტერესოს გაიგებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**18 დეკემბერი:** თქვენს გარშემო შესაძლოა, უსიამოვნო სიტუაცია შეიქმნას, მაგრამ, წესით, თქვენ არ უნდა შეგეხოთ, უბრალოდ, ცოტას ინერვიულებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**18 დეკემბერი:** რაიმე გადაწყვეტილების მიღებისას ვარაუდებს არავითარ შემთხვევაში არ დაეყრდნოთ. დიდი ალბათობით, ინტუიცია გიღალატებთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**18 დეკემბერი:** შესაძლოა, ძალიან ნერვიული იყოთ და გარშემომყოფნი გააღიზიანოთ. შეეცადეთ, ნაკლებად იაქტიუროთ და არავის ეკამათოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**18 დეკემბერი:** მაქსიმალური სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით, დღის პირველ ნახევარში. საფრთხეს აიცილებთ, მაგრამ შემდგომში მეტი ყურადღება გმართებთ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)
ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.

## რატომ მძიმდება ნაბახუსევი ასაკის მატებასთან ერთად?



თურმე, რაც უფრო ასაკში გადადის ადამიანი, მით უფრო მეტად უჭირს ალკოჰოლის მიღება და შესაბამისად, ნაბახუსევიც გაცილებით რთულ ფორმებში ვლინდება.

სპეციალისტების განმარტებით, წლების მატებასთან ერთად, ადამიანის ორგანიზმი სპეციალურ ფერმენტებს – ალკოჰოლდეჰიდროგენაზს ნაკლები რაოდენობით გამოიმუშავებს, რომლის მოვალეობაც ეთანოლის ჯერ აცეტალდეჰიდად, შემდეგ კი უსაფრთხო ნივთიერებად გადამუშავებაა.

თირკმლებში აღნიშნული ფერმენტები დიდი რაოდენობით მოიპოვება, თუმცა მათი გამომუშავება დამოკიდებულია როგორც ასაკზე, თქვენ წარმოიდგინეთ, ისე ადამიანის რასაზეც.

ალკოჰოლის ხშირი მოხმარების შედეგად, ფერმენტი თავის აქტიურობას კარგავს. ამას ემატება ასაკის მატებაც და საბოლოო ჯამში, შედეგი ის არის, რომ რაც უფრო სოლიდურია ადამიანის ასაკი, მით უფრო რთულად გადააქვს მას თრობა და ნაბახუსევი.

*doctor-prof.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*




მამაკაცი ბანკში იპოთეკური კრედიტის სქელტანიან ხელშეკრულებას კითხულობს. ბანკის თანამშრომელი:

– აბა, გაეცანით? რამ აგაღელვათ?

– აი, შეხედეთ: პარაგრაფი 1594, პუნქტი 18: „კლიენტის შუბლზე გავარვარებული ლითონით ბანკის ლოგოტიპის ამოტვიფრა“, ეს რას ნიშნავს?!

– უკაცრავად, არ გვეგონა, თუ ხელშეკრულებას ბოლომდე გაეცნობოდით...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
»211359457
გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.55